პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 157 (12365)

პარასკევი, 6 ივლისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა დარბაზობაზე კრემლში 1962 წლის 5 ივლისს

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით მოგილოცოთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით უმაღლეს და საშუალო სამხედრო სასწავლებელთა ყველა კურსდამთავრებულს აკადემიებისა და სასწავლებლების დამთავრება და გისურვოთ დიდი წარმატებანი კეთილშობილურ საქმიანობაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სამხედრო ძალიერების განმტკიცებისათვის.

აქ არიან მომმე ქვეყნების არმიების ოფიცრები, რომლებმაც უმაღლესი სამხედრო განათლება საბჭოთა კავშირის სამხედრო აკადემიებში მიიღეს. სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო მეგობრებო, წარმატებებს მომმე სოციალისტური ქვეყნების ეროვნული შეიარაღებული ძალების განმტკიცების საქმეში.

ნება მიბოძეთ კომუნისტური პარტიისა და მთავრობის სახელით გულითადი მადლობა გადავუხადო აკადემიების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას დიდი და ნაყოფიერი მუშაობისათვის შეიარაღებული ძალების მეთაურთა, ინჟინერთა და პოლიტიკური კადრების სწავლებისა და აღზრდის დარგში.

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებრივი განვითარების მეტად პასუხსაგებ პერიოდში. მუშათა კლასმა, ბოლშევიკების პარტიამ დიდი ლენინის მეთაურობით მაღლა აღმართეს რევოლუციის დროშა იმისათვის, რომ საამური და ბედნიერი გაეხადათ შრომელთა ცხოვრება. ჩვენმა პარტიამ, რომელიც ლენინური გზით მიდის წინ, საბჭოთა ხალხი მიიყვანა დიდ მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. სოციალიზმი, რომელზეც საუკუნეობით ოცნებობდნენ შრომელი ადამიანები, უკვე ახლა აძლევს დიდ სიკეთეს ჩვენი ქვეყნის ხალხებს. სოციალიზმმა გაიმარჯვა მთელ რიგ ქვეყნებში, რომელთა ხალხები მტკიცედ მიდიან ახალი ცხოვრების მშენებლობის გზით.

პარტიის ახალ პროგრამაში დასახულია კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები. საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან, რომ დიდი გეგმების განსახორციელებლად საჭიროა დიდი და თავდადებული შრომა. მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიშალა ფაბრიკების, ქარხნების, საცხოვრებელი სახლების უმაგალითო მასშტაბის მშენებლობა, მიმდინარეობს ბრძოლა სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის. ყოველივე ეს ხორციელდება ადამიანისათვის, ადამიანის საკეთილდღეოდ.

ჩვენი პარტიის პროგრამაში აღბეჭდილია დიადი იდეალები: **მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება ყველა ხალხისათვის.**

ცხადია, რომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი, რომლებიც სახავენ და ახორციელებენ ასეთ მიზნებს, საარსებოდ დაინტერესებული არიან მტკიცე მშვიდობით. სწორედ ეს განსაზღვრავს საბჭოთა მთაფრობის საგარეო პოლიტიკას. ჩვენ მტკიცედ ვიცავთ სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს. სოციალისტური ქვეყნებისათვის უცხოა აგრესიული ზრახვები სხვა ხალხების წინააღმდეგ. ჩვენ არ ვერევით სხვა სახელმწიფოების საქმეებში. თვითეული ქვეყნის ხალხის საქმეა აირჩიოს თავისთვის საზოგადოებრივი წყობილება.

ჩვენმა მთავრობამ ყველა ქვეყანას შესთავაზა კონკრეტული პროგრამა მოქმედებისა, რომლის მიზანია ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცება. თქვენ იცით, რომ ჟენევაში მიმდინარეობს მოლაპარაკება განიარაღების შესახებ. ამ მოლაპარაკების მსვლელობა გვიჩვენებს, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს არა სურთ განიარაღება. ამ პირობებში ჩვენ არ შეგვიძლია ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ იმპერიალისტები აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ამზადებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებს ომისათვის ჩვენს წინააღმდეგ, აგროვებენ უამრავ იარაღს, მათ შორის ატომურ იარაღსაც.

ჩვენი ქვეყნისა და მთელი სოციალისტური ბანაკის უშიშროების ინტერესებისათვის მოვალენი ვართ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების ძლიერება. სანამ მიღწეული არ არის შეთანხმება განიარაღების შესახებ შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში, სხვა გამოსავალი არა გვაქვს. რაც უფრო ძლიერი იქნება სოციალისტური ბანაკი, რაც უფრო დიდი იქნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვითი ძლიერება, მით უფრო ნაკლებია თავდასხმის საფრთხე, დამანგრეველი თერმოატომური ომის გაჩაღების შესაძლებლობა.

ჩვენ არავის არ მივცემთ საშუალებას მოუმზადებელს მოგვიწროს. ჩვენ გვყავს საიმედო გუშაგი, რომელიც შეძლებს დროზე გაუკავოს ხელი იმას, ვინც შეეცდება მოსპოს ჩვენი ქალაქები და სოფლები. ასეთი საიმედო გუშაგია საბჭოთა კავშირის, ყველა სოციალისტური ქვეყნის შეიარაღებული ძალები.

რაც შეეხება იმპერიალისტების ვარაუდს, რომ მათი მოქმედება დაუსჯელი დარჩება, ჩვენ ვამბობთ — თუ ისინი მაინც გაიჩაღებენ ომს, მაშინ გამანადგურებელ საპასუხო დარტყმას მიიღებენ.

სანამ არსებობენ აგრესიული იმპერიალისტური ძალები, ჩვენ იძულებული ვართ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ ჩვენი შეიარაღებული ძალები, რომელნიც მოწოდებული არიან დაიცვან მშვიდობა, იმპერიალისტთა ყოველგვარი ხელყოფისაგან დაიცვან სოციალიზმის დიადი მონაპოვარი, თავიდან აგვაცილონ ომის გაჩაღება. ასეთია ჩვენი არმიის, ავიაციისა და ფლოტის ისტორიული დანიშნულება. სწორედ ამიტომ მთელი საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელნი დიდი პატივისცემით ეკიდებიან ჩვენს არმიას.

ჩვენი შეიარაღებული ძალების ბირთვია ოფიცერთა კადრები. მათ დააკისრა ხალხმა ზრუნვა ჩვენი არმიის ბრძოლისუნარიანობისა და საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებისათვის. ჩვენი არმიის მეთაურები, ინჟინრები, პოლიტმუშაკები არიან ხალხის საქმის, კომუნიზმის საქმის ერთგული ნამდვილი საბჭოთა პატრიოტები. ისინი ღირსნი არიან საბჭოთა ხალხის და კომუნისტური პარტიის დიდი ნდობისა, პირნათლად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობებს.

ძვირფასო ამხანაგებო!

კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი მუდამ ზრუნავენ შეიარაღებული ძალებისათვის. ამ უკანასკნელ წლებში ჩვენმა არმიამ, ავიაციამ, ფლოტმა, ყველა გვარეობის ჯარებმა დიდძალი მძლავრი, უაღრესად თანამედროვე იარაღი მიიღეს. მეცნიერებისა და ტექნიკის გაბვითარებას, ყველა სახეობის იარაღის განუწყვეტელ სრულყოფას გარდუვალად მოსდევს მათი გამოყენებისა და ხმარების ხერხების შეცვლა.

თანამედროვე საბრძოლო ოპერაციების წარმოება, ურთულესი საბრძოლო ტექნიკისა და იარაღის გამოყენება ყველა სპეციალობის მეომრებისაგან მოითხოვს დიდ ცოდნას, უნარს, ჩვევებს. ვფიქრობ, რომ თქვენ კარგად გესმით, თუ რამდენად იზრდება ოფიცრების როლი და პასუხისმგებლობა ჯარების სწავლებისათვის. უნდა სრულყოთ სწავლების მეთოდიკა, გამოვიყენოთ ამ საქმეში უახლესი ტექნიკური საშუალებანი. ეს შეეხება არა მარტო სწავლებას უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ საბრძოლო სწავლებასაც ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში.

საბჭოთა ოფიცერი არა მარტო უფროსია, კვალიფიციური სამხედრო სპეციალისტია, არამედ თავისი ხელქვეითების უნარიანი აღმზრდელიც არის. ადამიანის აღზრდა რთული საქმეა. მეთაურების, უფროსების მთელი საქმიანობა, ყოველდღიური ყოფაცხოვრება უნდა ხმარდებოდეს იმას, რომ მეომრებს ჩაუნერგონ მაღალი მორალურ-პოლიტიკური და საბრძოლო თვისებები, რაც საჭიროა სოციალისტური სამშობლოს მამაცური და უნარიანი დაცვისათვის. ეს ერთ-ერთი ... ამოცანაა.

კომუნისტური პარტია საბჭოთა მეთაურებს აკისრებს მთელ პასუხისმგებლობას პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების მდგომარეობისათვის, ნაწილებისა და ქვეგანაყოფების ბრძოლისუნარიანობისა და მუდმივი საბრძოლო მზადყოფნისათვის. პარტიის პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ერთმართველობა საბჭოთა შეიარაღებული ძალების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. ამით გამოიხატება პარტიისა და ხალხის უდიდესი ნდობა ჩვენი მეთაურთა კადრებისადმი. ამასთან მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა, პარტიული ორგანიზაციების როლისა და გავლენის ამაღლება ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში ჩვენი სამხედრო მშენებლობის საფუძველთა საფუძველია. მეთაურის სიბრძნე, ნებისყოფა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების, ქვეგანაყოფის, ნაწილის მთელი კოლექტივის შემოქმედებითი მეცადინეობა, თვითეული მეომრის აქტიური და თავდადებული საქმიანობა საიმედო გარანტიაა დასახულ ამოცანათა გადაჭრაში.

ჩვენი პარტიის ძალა ის არის, რომ იგი მთელ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს სწორი და საიმედო კომპასით—მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი მოძღვრებით. ამ ხანაგებო, ნუ დაიშურებთ დროს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლისათვის. დაუცხრომლად იბრძოლეთ იმისათვის, რომ თვითეული მეომრის საქმიანობასა და ყოფაქცევაში ორგანულად შეხამებული იყოს კომუნისტური იდეები და კომუნისტური საქმეები.

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ მოგილოცოთ აკადემიების დამთავრება, გისურვოთ შემოქმედებითი წარმატებანი ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის სამსახურის დიდსა და საპატიო საქმეში!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს ჩვენი შეიარაღებული ძალები—საბჭოთა კავშირის მშვიდობისა და უშიშროების ბურჯი!

დაე მტკიცდებოდეს სოციალისტური ქვეყნების არმიების მეომართა საბრძოლო თანამეგობრობა!.

(ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს სიტყვა არაერთგზის შეაწყვეტინებს მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით).

რადიოსა და ტელევიზიის მაღალი მოწოდება

ყოველთვიურად იზრდება საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიის პოპულარობა, მათი მნიშვნელობა მასების კომუნისტურ აღზრდაში. საბჭოთა ადამიანების ბინებში ათეულ მილიონობით რადიოდანადგარი, მილიონობით ტელევიზორია. პრესასთან ერთად რადიო და ტელევიზია ინფორმაციის, მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის, პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელების ყველაზე მასობრივი საშუალება გახდა.

უკანასკნელ ხანს შესამჩნევად გაუმჯობესდა რადიოსა და ტელევიზიის პროგრამების შინაარსი. ეს პროგრამები უფრო საინტერესო, შინაარსიანი გახდა. მაგრამ რადიომსმენელებისა და ტელემაყურებლების გაზრდილი სულიერი მოთხოვნილებები მთლიანად როდი კმაყოფილდება. უაღრესად სუსტად იყენებენ რადიოსა და ტელევიზიის უმდიდრეს შესაძლებლობებს იდეოლოგიურ მუშაობაში, მშრომელთა კულტურულ აღზრდაში. ბევრ გადაცემას ადგენენ სტანდარტით და ისინი მოსაწყენია.

რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ, რომ გადაცემებს ჩვეულებრივ უსმენენ და უყურებენ ოჯახურ პირობებში. რადიოთი საუბარი უნდა იყოს გულითადი, დამაჯერებელი, ცოცხალი ლიტერატურული ენის ყველა ელფერით მდიდარი. ნაცვლად ასეთი გულშიჩამწყდომი, ამაღლებელი საუბრებისა მსმენელებს ხშირად აწვდიან ზერელე რეპორტაჟებს, მშრალ და მონოტონურ, ნაჩქარევად დწერილ სტატიებს, რომლებიც არ იწვევენ, რასაკვირველია, ცხოველ ინტერესს, ფართო გამოხმაურებას. რადიოსა და ტელევიზიის პროგრამებში ზოგჯერ შეაქვთ ლიტერატურისა და მუსიკის იდეურად და მხატვრულად სუსტი ნაწარმოებები. ხდება ისეც, რომ რადიოპროგრამებს, ტელევიზიაში მექანიკურად გადააქვთ პერიოდული პრესის, კინოს, თეატრის დამახასიათებელი ყანრები და ფორმები.

სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახულ კომუნიზმის მშენებლობის დიად ამოცანათა შესაბამისად საჭიროა გადაჭრით გარდაიქმნას რადიოსა და ტელევიზიის მუშაობა, ძირეულად გაუმჯობესდეს პროგრამების იდეურ-პოლიტიკური და მხატვრული შინაარსი, ამაღლდეს გადაცემათა ტექნიკური დონე.

მასების აღზრდის ისეთ მძლავრ საშუალებებს, როგორიც რადიო და ტელევიზიაა, უკეთ უნდა ვიყენებდეთ იმისათვის, რომ ღრმად, სისტემატურად განვმარტავდეთ პარტიის ახალი პროგრამის იდეებს, ვეწეოდეთ აქტიურ ბრძოლას საბჭოთა ეკონომიკის განვითარების გეგმების შესრულებისათვის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის. განადიდებდნენ კომუნიზმის მშენებელთა გმირულ, თავდადებულ შრომას, ხელს უწყობდნენ მოწინავე გამოცდილების, კომუნისტური საწყისების გავრცელებას საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში — ეს არის რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის, კომუნიზმის იდეურად გამოწრთობილი, შეგნებული მშენებლის აღზრდაში, — რა შეიძლება იყოს რადიოსა და ტელევიზიის ამ მოწოდებაზე უფრო კეთილშობილური! განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გადაცემებს ბავშვებისა და ახალგაზრდობისათვის, საბუნებისმეტყველო პროპაგანდას.

რადიოსა და ტელევიზიის პირდაპირი შოვალეობაა ფართოდ აცნობდნენ საბჭოთა კავშირის მშრომელებს საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს, უფრო ღრმად აშუქებდნენ საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას, პროპაგანდას უწევდნენ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის მიღწევებს, ასახავდნენ ხალხთა ბრძოლას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, ამხილებდნენ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ანტიხალხურ პოლიტიკას.

დიდია რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის როლი მასების ესთეტიკურ აღზრდაში. შეიძლება ითქვას, რომ რადიო და ტელევიზია საბჭოთა მუსიკის მთავარი პროპაგანდისტი, ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებების, თეატრალური დადგმების, ოპერისა და ბალეტის პოპულარიზატორი გახდნენ. მართალია, მოთხრობის ნაწყვეტის გადაცემა იგივეა, რაც ამ მოთხრობის პუბლიკაცია მრავალ მილიონ ცალად. მაგალითად, მ. შოლოხოვის შესანიშნავი მოთხრობა „ბედი გაიცა“ რადიომ რამდენიმე დღეში გაიცნო მრავალმილიონიან აუდიტორიას. პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მუსიკალური კონკურსის კონცერტებს ისმენდა არა მარტო რამდენიმე ათასი მოსკოველი თეატრალურ დარბაზებში, არამედ მილიონობით რადიომსმენელი და ტელემაყურებელი ბევრ ქვეყანაში.

სრულებითაც არ არის საჭირო, რომ რადიო და ტელევიზია იმეორებდნენ გაზეთების, ჟურნალების, თეატრების, კინემატოგრაფის მუშაობას, მაგრამ თავიანთ პროგრამებში უნდა შეჰქონდეთ ყოველივე საუკეთესო, მკაფიო, რაც ჩნდება პერიოდულ პრესაში, თეატრალურ ხელოვნებაში, კინოში.

ამასთან ერთად რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები ღრმად და დაკვირვებით უნდა მუშაობდნენ ახალი ყანრების, ახალი პროგრამების, პროპაგანდის ახალი ფორმების შექმნაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს გადაცემებს ჩვენი ცხოვრების საგულისხმო მოვლენებზე, ინტერვიუს გამოცდილ ადამიანებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან, პასუხს მსმენელთა შეკითხვებზე. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გამოგვყავდეს მეკოროფონთან პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელები, საბჭოების დეპუტატები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, ცნობილი მეცნიერები, პუბლიცისტები, მწერლები, ჟურნალისტები, რომლებიც გამართავენ საუბრებს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამის განხორციელების კონკრეტულ საკითხებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე, უპასუხებენ იმ შეკითხვებზე, რომლებიც ფართო აუდიტორიას აინტერესებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმა საზოგადოებრიობის მონაწილეობისა რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში საზოგადოებრივი სარედაქციო საბჭოების შექმნაა, ასეთი საბჭოების შექმნისათვის უნდა იზრუნონ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, ადგილობრივმა რადიოკომიტეტებმა და რედაქციებმა, ავრეთვე პარტიულმა, საბჭოთა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა.

ყოველწლიურად რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები მსმენელთა და მაყურებელთა მრავალ ასეულ ათასობით წერილს იღებენ. მაგალითად, მოსკოვის რადიო ყოველდღე იღებს საზღვარგარეთელ მსმენელთა ასობით წერილს მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნიდან. განა ეს უძვირფასესი მასალა არ არის კარგი გადაცემების მოსამზადებლად, მსმენელთა მოთხოვნილებების შესასწავლად!

ჩვენი ხალხის კულტურის ზრდასთან ერთად გაუწყვეტლივ იზრდება საბჭოთა ადამიანების სულიერი მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები უფრო სრულად რომ დავაკმაყოფილოთ, საჭიროა დაუცხრომლად სრულვყოფდეთ რადიოსა და ტელევიზიის პროგრამების შინაარსს.

კავშირგაბმულობის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ ყველგან აუმჯობესებდნენ რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა მიღებას მოსკოვიდან, უზრუნველყონ ზუსტი მუშაობა პროგრამების გაცვლისათვის ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს, რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის. საინტერესო პროგრამების ფართო გაცვლა ხელს შეუწყობს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, მომმე რესპუბლიკების ხალხთა კულტურების ურთიერთ გამდიდრებას. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ, უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ გადაცემათა პროგრამები დღესასწაულის წინადღეებსა და კვირადღეებში, როცა მნიშვნელოვნად იზრდება აუდიტორია რადიომიმღებებსა და ტელევიზორებთან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, რომლებსაც დიდი რაოდენობით ჰყავთ კვალიფიციური მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლები, შეუძლიათ ქმედითი დახმარება გაუწიონ რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიას მათი პროგრამების გამდიდრებაში.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის შემდგომი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. უკვე ახლა პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ამ დარგებში, რომლებიც სწრაფად ვითარდება, დასაქმებულია ბევრი საბჭოთა ჟურნალისტი. საჭიროა კარგად მოვამზადოთ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კადრების მომზადება და სპეციალიზაცია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. მომავალი სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდება რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქტორთა მიღება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლასა და ადგილობრივ უმაღლეს პარტიულ სკოლებში. ამასთან ერთად უნდა მოვაწყოთ საჭირო კადრების მომზადება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემის საშუალებითაც.

რადიო და ტელევიზია მძლავრი ძალაა ხალხის კომუნისტურ აღზრდაში, მასობრივ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უფრო სრულად გამოიყენონ ეს ძალა მასების დასარაზმავად კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის უსწრაფესად განხორციელებისათვის. საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტები უფრო მეტად ზრუნავდნენ მაუწყებლობის პროგრამების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა რადიო და ტელევიზია უნდა გახდნენ მილიონობით ადამიანის ნამდვილი ფორუმი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში გაავრცელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, მკაფიო და მართალ თხრობას პარტიისა და ხალხის გმირულ ბრძოლაზე მშვიდობის საქმისათვის, კომუნიზმისათვის.

PRAVDA

5 ივლისის მოწინავე

* * *

ნემატოგრაფის მუშაობას, მაგრამ თავიანთ პროგრამებში უნდა შეჰქონდეთ ყოველივე საუკეთესო, მკაფიო, რაც ჩნდება პერიოდულ პრესაში, თეატრალურ ხელოვნებაში, კინოში.

ამასთან ერთად რადიოსა და ტელევიზიის თანამშრომლები ღრმად და დაკვირვებით უნდა მუშაობდნენ ახალი ყანრების, ახალი პროგრამების, პროპაგანდის ახალი ფორმების შექმნაზე. დიდი მნიშვნელობა აქვს გადაცემებს ჩვენი ცხოვრების საგულისხმო მოვლენებზე, ინტერვიუს გამოცდილ ადამიანებთან, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორებთან, პასუხს მსმენელთა შეკითხვებზე. საჭიროა რაც შეიძლება ფართოდ გამოგვყავდეს მიკროფონთან პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოების ხელმძღვანელები, საბჭოების დეპუტატები, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქტორები, ცნობილი მეცნიერები, პუბლიცისტები, მწერლები, ჟურნალისტები, რომლებიც გამართავენ საუბრებს სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამის განხორციელების კონკრეტულ საკითხებზე, საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალურ პრობლემებზე, უპასუხებენ იმ შეკითხვებზე, რომლებიც ფართო აუდიტორიას აინტერესებს.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ქმედითი ფორმა საზოგადოებრიობის მონაწილეობისა რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში საზოგადოებრივი სარედაქციო საბჭოების შექმნაა, ასეთი საბჭოების შექმნისათვის უნდა იზრუნონ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა, ადგილობრივმა რადიოკომიტეტებმა და რედაქციებმა, ავრეთვე პარტიულმა, საბჭოთა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და შემოქმედებითმა კავშირებმა.

ყოველწლიურად რადიოსა და ტელევიზიის რედაქციები მსმენელთა და მაყურებელთა მრავალ ასეულ ათასობით წერილს იღებენ. მაგალითად, მოსკოვის რადიო ყოველდღე იღებს საზღვარგარეთელ მსმენელთა ასობით წერილს მსოფლიოს ასზე მეტი ქვეყნიდან. განა ეს უძვირფასესი მასალა არ არის კარგი გადაცემების მოსამზადებლად, მსმენელთა მოთხოვნილებების შესასწავლად!

ჩვენი ხალხის კულტურის ზრდასთან ერთად გაუწყვეტლივ იზრდება საბჭოთა ადამიანების სულიერი მოთხოვნილებები. ეს მოთხოვნილებები უფრო სრულად რომ დავაკმაყოფილოთ, საჭიროა დაუცხრომლად სრულვყოფდეთ რადიოსა და ტელევიზიის პროგრამების შინაარსს.

კავშირგაბმულობის, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკთა ამოცანა ის არის, რომ ყველგან აუმჯობესებდნენ რადიოსა და ტელევიზიის გადაცემათა მიღებას მოსკოვიდან, უზრუნველყონ ზუსტი მუშაობა პროგრამების გაცვლისათვის ჩვენი სამშობლოს დედაქალაქს, რესპუბლიკებსა და ოლქებს შორის. საინტერესო პროგრამების ფართო გაცვლა ხელს შეუწყობს კომუნისტური მშენებლობის მოწინავე გამოცდილების გავრცელებას, მომმე რესპუბლიკების ხალხთა კულტურების ურთიერთ გამდიდრებას. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ, უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ გადაცემათა პროგრამები დღესასწაულის წინადღეებსა და კვირადღეებში, როცა მნიშვნელოვნად იზრდება აუდიტორია რადიომიმღებებსა და ტელევიზორებთან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კულტურის სამინისტროებს, რომლებსაც დიდი რაოდენობით ჰყავთ კვალიფიციური მუსიკალური, საგუნდო და ქორეოგრაფიული ანსამბლები, შეუძლიათ ქმედითი დახმარება გაუწიონ რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიას მათი პროგრამების გამდიდრებაში.

რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის შემდგომი გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული კვალიფიციური კადრების მომზადებაზე. უკვე ახლა პოლიტიკური და კულტურული მუშაობის ამ დარგებში, რომლებიც სწრაფად ვითარდება, დასაქმებულია ბევრი საბჭოთა ჟურნალისტი. საჭიროა კარგად მოვამზადოთ რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის კადრების მომზადება და სპეციალიზაცია ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. მომავალი სასწავლო წლიდან მნიშვნელოვნად გაფართოვდება რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის რედაქტორთა მიღება სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლასა და ადგილობრივ უმაღლეს პარტიულ სკოლებში. ამასთან ერთად უნდა მოვაწყოთ საჭირო კადრების მომზადება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემის საშუალებითაც.

რადიო და ტელევიზია მძლავრი ძალაა ხალხის კომუნისტურ აღზრდაში, მასობრივ პოლიტიკურ და კულტურულ მუშაობაში. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა უფრო სრულად გამოიყენონ ეს ძალა მასების დასარაზმავად კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის უსწრაფესად განხორციელებისათვის. საჭიროა, რომ პარტიული კომიტეტები უფრო მეტად ზრუნავდნენ მაუწყებლობის პროგრამების გაუმჯობესებისათვის.

საბჭოთა რადიო და ტელევიზია უნდა გახდნენ მილიონობით ადამიანის ნამდვილი ფორუმი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში გაავრცელებს კომუნიზმის მშენებლობის დიად პროგრამას, მკაფიო და მართალ თხრობას პარტიისა და ხალხის გმირულ ბრძოლაზე მშვიდობის საქმისათვის, კომუნიზმისათვის.

დარბაზობა კრემლში

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის პატივსაცემად

4 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ დარბაზობა გამართა მისი აღმატებულება დოქტორ აოფონს გორბახის — ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის პატივსაცემად.

ა. გორბახთან ერთად დარბაზობაზე იყვნენ მისი თანმხლები ოფიციალური პირები.

სტუმრები მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. მიქოიანმა, მ. ა. სუსლოვმა, ვ. ვ. გრიშინმა, ლ. თ. ილიჩოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვებმა.

დარბაზობაზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურმა კანცლერმა ა. გორბახმა, დარბაზობამ მეგობრული ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ალფონს გორბახი გაემგზავრა

მოსკოვი, 5 ივლისი. (საკდესი). რვადღიანი ოფიციალური ვიზიტის შემდეგ დღეს მოსკოვიდან ვენაში გაემგზავრნენ ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალური კანცლერი ალფონს გორბახი და მისი თანმხლები პირები.

ვნუკოვოს აეროდრომზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვმა და ა. გორბახმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

გულითადი მილოცვა

მოსკოვი, 4 ივლისი. (საკდესი). ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნეს სომალის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს ეროვნული დღესასწაულის — დამოუკიდებლობის დღის გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვი თავის დეპეშაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი სიმპათიით ადევნებენ თვალყურს ახალგაზრდა დამოუკიდებელი სომალის რესპუბლიკის განვითარებას, მისი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განვითარებას და სულით და გულით უსურვებენ სომალელ ხალხს შემდგომ დიდ წარმატებებს.

ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირსა და სომალის რესპუბლიკას შორის დამყარდა მეგობობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა.

საპასუხო დეპეშებში სომალის პრემიერ-მინისტრი აბდირაშიდ ალი შერმარკი და პრეზიდენტი ადენ აბდულა ოსმანი გამოთქვამენ მადლობას დეპეშებისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

იუგოსლავიის ეკონომიური დელეგაციის მეთაური

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 5 ივლისს კრემლში მიიღო იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური დელეგაციის მეთაური, საკავშირო აღმასრულებელი ვიც

საბრძოლო თანამეგობრობა

სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა შეხვედრა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან

ნსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებს ზეემატა დიდად განათლებულ მეთაურთა და პოლიტმუშაკთა კიდევ ერთი რაზმი. უკან დარჩა სამხედრო აკადემიებში დამბული, ბეჯითი სწავლის წლები. ამ სწავლის ნაყოფს — ღრმა სპეციალურ და პოლიტიკურ ცოდნას — ისინი ახლა წაიღებენ ჯარებში.

უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების აღზრდილთა მორიგ გამოშვებას მიეძღვნა ტრადიციული დარბაზობა, რომელიც 5 ივლისს მოაწყეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

კრემლის დიდი სასახლე... სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ოფიცრები, რომლებმაც ახლა დაამთავრეს სამხედრო აკადემიები. მათთან ერთად აქ არიან მათი მასწავლებლები, პროფესორები, სახელგანთქმული მხედართმთავრები. ესწრებიან მომხე სოციალისტური ქვეყნების ოფიცრები და გენერლები, რომლებმაც საბჭოთა კავშირში მიიღეს უმაღლესი სამხედრო განათლება.

მეუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ შეკრებილნი ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. კოსიგინს, ა. ა. მიკოიანს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ლ. თ. ილიჩოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებს ვ. ნ. ნოვიკოვს, კ. ნ. რუდნევს, დ. თ. უსტინოვს, ნ. გ. იგნატოვს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოვიდნენ. აქვე არიან საბჭოთა კავშირის მარშალი მ. ვ. ზახაროვი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, არმიის გენერალი ა. ა. ეპიშევი, საბჭოთა კავშირის მარშლები ს. ს. ბირიუზოვი, ვ. ი. ჩუიკოვი, კ. ა. მელეცკოვი, ი. ხ. ბაგრამიანი, ს. მ. ბუდიონი, ნ. ი. კრილოვი, ა. ი. ეროემენკო, ი. ს. კონევი, კ. კ. როკოსოვსკი, ვ. დ. სოკოლოვსკი, ს. კ. ტიმოშენკო, ფლოტის ადმირალი გ. ს. გორშკოვი, ავიაციის მთავარი მარშალი კ. ა. ვერშინინი, არტილერიის მთავარი მარშალი ს. ს. ვარენცოვი, ჯავშნისატანკო ჯარების მარშალი პ. პ. პოლუბოიაროვი, ჯარების გვარეობათა მარშლები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები, ადმირალები და ოფიცრები.

სხდომა გახსნა თავდაცვის მინისტრმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ.

ამხანაგ რ. ი. მალინოვსკის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

დღეს თავდაცვის სამინისტრო წარგადგენთ თქვენს, საბჭოთა შეიარაღებული ძალების ოფიცერთა ახალ სახელოვან რაზმს, რომლებმაც დაამთავრეთ ჩვენი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა წინაშე. ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებთან სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა ეს შეხვედრა მოეწყო ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით.

სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა მიღება კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ ტრადიციული გახდა ჩვენში. ეს მიღებები მოწმობენ, თუ რა უდიდეს ყურადღებას იჩენენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებისადმი, სამხედრო კადრების ზრდასა და გაწვრთნისადმი, რომლებიც არმისა და ფლოტის ბირთვს წარმოადგენენ.

ამ ყოველწლიური მიღებისა და შეხვედრის დროს ჩვენი სამხედრო აკადემიების თითქოს იმ მუშაობის ანგარიშს აბარებენ პარტიასა და მთავრობას, რომელიც გასწიეს მაღალკვალიფიციური სამხედრო სპეციალისტების მოსამზადებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვის იმ ყურადღებისა და ზრუნვის გამო, რომელსაც ისინი ყოველდღე იჩენენ სამხედრო კადრების მომზადებისათვის.

ამ საზეიმო დღეს ნება მიბოძეთ მოგილოცოთ სწავლის წარმატებით დამთავრება და ნაყოფიერი საქმიანობა გისურვოთ ჯარებში პრაქტიკული მუშაობის დროს.

ჩვენი სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა შორის არის სოციალისტური ქვეყნების მოძმე არმიების წარმომადგენელი ოფიცრებისა და გენერლები ჯგუფი. ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მივესალმოთ ჩვენს თანამებრძოლ მეგობრებს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების დამთავრება და დიდი წარმატებანი ვუსურვო მუშაობაში თავიანთი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

აკადემიების კურსდამთავრებულთა ახალი რაზმი ჯარებში მიდის შესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ტიტანური მუშაობა გაშალა, რათა განაზორციელოს სკკპ XXII ყრილობის გრანდიოზული გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ჩვენი ეპოქის ნამდვილ კომუნისტური მანიფესტია.

საბჭოთა ქვეყანა, როგორც ზემძლავრი ლოკომოტივი, რომელიც სიჩქარეს უმატებს, გადასარბენზე, სულ ულრო სწრაფად მიდის სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მთელი ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, მჩქეფარე ცხოვრება აღაფრთოვანებს ადამიანებს, გულს უვსებს მათ მგზნებარე სურვილით, რაც შეიძლება უკეთ იმრომონ მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეჭვი არ არის, რომ ყოველ თქვენგანს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მთელი თავისი ძალები და ცოდნა მოახმაროს კომუნიზმის მშენებლობის დიად და კეთილშობილურ საქმეს, საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოველი ღონისძიებით განმტკიცებას.

ჩვენი სამხედრო შრომა მძიმეა, მაგრამ კეთილშობილური და საპატიოა. ჩვენ მოწოდებული ვართ შეეასრულოთ პასუხსაგები ამოცანები კომუნიზმის მშენებლობაში — დავიცვათ საბჭოთა სამშობლოს მშვიდობა და უშიშროება და მისი სახელმწიფო ინტერესები. ამ ამოცანის დიდი მნიშვნელობა და წირთხლეობით არის განპირობებული, რომ კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, მთელი სოციალისტური სისტემის განვითარება ხდება დაძაბული საერთაშორისო ვითარების პირობებში. არ შეიძლება ჯეროვნად. არ შევაფასოთ ის ფაქტი, რომ იმპერიალისტური წრეები განაგრძობენ გამაღაღებენ შეიარაღების გაძლიერების კურსს და ამკარად აცხადებენ თავიანთ იმ უგუნურ გეგმებს, რომ ომის ცეცხლი მოსპონ საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები. ამიტომ რაზმავს რა საბჭოთა ადამიანებს შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, პარტია ყველაზე დაძაბულ ყურადღებას უთმობს ჩვენი შეიარაღებული ძალების განმტკიცებას, მათი საბრძოლო ძლიერებისა და საბრძოლო მზადყოფნის გადიდებაში.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, სულითა და გულით გადავუხადო ჩვენი დიდი მადლობა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მშობლიურ საბჭოთა მთავრობას, ძვირფას ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს იმ ყურადღებისა და ზრუნვის გამო, რომელსაც ისინი ყოველდღე იჩენენ სამხედრო კადრების მომზადებისათვის.

ამ საზეიმო დღეს ნება მიბოძეთ მოგილოცოთ სწავლის წარმატებით დამთავრება და ნაყოფიერი საქმიანობა გისურვოთ ჯარებში პრაქტიკული მუშაობის დროს.

ჩვენი სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა შორის არის სოციალისტური ქვეყნების მოძმე არმიების წარმომადგენელი ოფიცრებისა და გენერლები ჯგუფი. ნება მიბოძეთ მხურვალედ და გულითადად მივესალმოთ ჩვენს თანამებრძოლ მეგობრებს საბჭოთა უმაღლესი სასწავლებლების დამთავრება და დიდი წარმატებანი ვუსურვო მუშაობაში თავიანთი შეიარაღებული ძალების საბრძოლო ძლიერების განმტკიცებისათვის.

აკადემიების კურსდამთავრებულთა ახალი რაზმი ჯარებში მიდის შესანიშნავ დროს, როცა საბჭოთა ხალხმა თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით ტიტანური მუშაობა გაშალა, რათა განაზორციელოს სკკპ XXII ყრილობის გრანდიოზული გადაწყვეტილებანი, პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც ჩვენი ეპოქის ნამდვილ კომუნისტური მანიფესტია.

საბჭოთა ქვეყანა, როგორც ზემძლავრი ლოკომოტივი, რომელიც სიჩქარეს უმატებს. გადასარბენზე, სულ ულრო სწრაფად მიდის სანუკვარი მიზნისაკენ — კომუნიზმისაკენ.

მთელი ჩვენი საბჭოთა სინამდვილე, მჩქეფარე ცხოვრება აღაფრთოვანებს ადამიანებს, გულს უვსებს მათ მგზნებარე სურვილით, რაც შეიძლება უკეთ იმრომონ მშობლიური ქვეყნის საკეთილდღეოდ. ეჭვი არ არის, რომ ყოველ

ტრიბუნაზეა გენერალური შტაბის აკადემიის კურსდამთავრებული, ბულგარეთის სახალხო არმიის ვიცე-ადმირალი ბ. ი. ორმანოვი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების გენერალთა, ადმირალთა და ოფიცერთა სახელით, რომლებმაც წელს დაამთავრეს საბჭოთა კავშირის სამხედრო აკადემიები, მან გულითადი მადლობა გადაუხადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მისცეს მათ ესწავლათ საბჭოთა შეიარაღებული ძალების სამხედრო აკადემიებში.

დღითიდღე ფართოვდება, ამბობს ამხ. ორმანოვი, საბრძოლო თანამეგობრობა სოციალისტური ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის, რომელთა მეგობრობა განმტკიცებულია ერთად დაღვრილი სისხლით თავისუფლებისათვის, გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ჩვენ გვესმის, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებთ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს ხალხთა უშიშროებისათვის იმ პირობებში, როცა იმპერიალიზმის აგრესიული ძალები ემზადებიან ატეხონ ომი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

სამხედრო აკადემიების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის სახელით გამოვიდა გენერალ-მაიორი ა. ვ. სოლოდოვი. მან აღუთქვა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ იდეურად გამოწრთობილი, დიდად განათლებული ოფიცრების ახალი რაზმი უნარიანად აღზრდის მეომრებს კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებას, მხედრული მოვალეობის უნაკლოდ შესრულების სულისკვეთებით.

ტრიბუნაზე ადის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელსაც დამსწრენი მჭეხარე, ხანგრძლივი ოვაციით ხვდებიან. **(ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა იხ. პირველ გვერდზე).**

* * *

დარბაზობა უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პატივისაცემად გაგრძელდა სადღესასწაულო სუფრასთან გიორგის დარბაზსა და წახნაგოვან პალატაში. სამხედრო აკადემიების აღზრდილებს სულითა და გულით მეესალმებოდნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რომლებმაც უსურვეს მათ დიდი წარმატებანი საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ბანაკის შეიარაღებული ძალების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

სკოლა და ცხოვრება

თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა გემთმშენებლობის კაბინეტი. სურათზე: 1961 წელს მოქმედ მოდელისტთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული — თბილისის 51 საშუალო სკოლის მერვეკლასელი გიორგი ვარაზი (მარცხნივ) და 61 საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი გივი მნათობიშვილი ამზადებენ გემების მოქმედ მოდელებს მომავალი შეჯიბრებისათვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

არ აშენდა, რა მიგვეგით?

ჩოჩხათი ერთ-ერთი დიდი, სილამაზით განთქმული სოფელია ლანჩხუთის რაიონში, სოფლის ცენტრი დამშვენებულია მრავალი კაპიტალური ნაგებობით.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ჩოჩხათელებს ერთი რამ აწუხებთ:

1958 წელს ჩოჩხათის სასოფლო საბჭოში შემავალმა სოფლებმა, კოლმეურნეობებმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს საშუალო სკოლისათვის კაპიტალური შენობის აგება. სანამ სკოლას კოლმეურნეობები აშენებდნენ, საქმეც კარგად მიდიოდა.

1960 წელს სკოლის მშენებლობის გაძღოლა ლანჩხუთის საკოლმეურნეოთაშორისო მშენებლობას (ხელმძღვანელი გ. ბარამიძე) მიენდო. ამის შემდეგ საქმე უკეღმა წავიდა, მშენებლობის სამუშაოები დაუშვებლად გაქაჩნურდა.

წლები გადის, შენობის დამთავრებაზარ ჩანს. ვაი-მშენებლები ხან საშენი მასალის უქონლობას უჩივიან, ხან მუშახელის ნაკლებობას უჩივიან.

თუ ასე გაგრძელდა, სკოლა ვერც წელს გადაეცემა საექსპლოატაციოდ.

გაზეთ „კომუნისტის“ საპასუხოდ: ი. გუჯაბიძეს, ჩოჩხათის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს; რ. რომაძეს, ჩოჩხათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს; ბ. ანთაძეს, ხორეთ-მოედნის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს; დ. მუკიდობაძეს, ჩოჩხათის საშუალო სკოლის დირექტორი.

ეს ნამდვილი მზრუნველობაა

ცხაკაიას რაიონში ახალი სასწავლო წლისათვის მზადება სახალხო საქმედ არის მიჩნეული. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, მსხვილი საწარმო-დაწესებულებები შეფობას უწევენ სკოლებს.

მიმდინარე წელს კაპიტალური რემონტი გაუკეთდება 15 სკოლისა და საბავშვო დაწესებულების შენობებს, ხოლო მიმდინარე რემონტი — 20 სკოლას. გათვალისწინებულია ნოქალაქევის საშუალო სკოლისათვის 4 საკლასო ოთახის მიშენება. შემენილ იქნება საკლასო ნივთები, სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნებისათვის 28 ოთახი მანეთის ხელსაწყოიარაღები და სხვა დიდაქტიკური მასალები, ხოლო სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის — 1.500 მანეთის ლიტერატურა, 600 მანეთის სპორტული ინვენტარი.

ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების მოსამზადებლად ენერგიული მუშაობა გაჩაღდა. მთელ რიგ ადგილებში ჩატარდა სასკოლო შენობების რემონტი. დამთავრდა ინვენტარის შეკეთება. სულ შეკეთებულ იქნა 1.753 მერხი, 223 დაფა, 234 მაგიდა, 125 კარადა, 334 სკამი.

მაღალნაყოფიერ მუშაობას ეწევიან შეფი ორგანიზაციები. ფოცხოს კოლმეურნეობამ დაამთავრა ქვედა ფოცხოს შვიდწლიანი სკოლის მიმდინარე შეკეთება, შეაკეთა 20 მერხი, 5 მაგიდა, 4 დაფა, 10 სკამი და სხვ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს კოლმეურნეობა მრავალი წელია ენერგიულად ეხმარება სკოლებს, რისთვისაც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გრიგოლ შონია დაჯილდოებულ იქნა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით.

ძველი სენაკის საცდელ-საჩვენებელი საბჭოთა მეურნეობა ენერგიულ დახმარებას უწევს ამავე სოფლის საშუალო, ნოსირის შვიდწლიან და ორ დაწყებით სკოლას. საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ნიკოლოზ ბარამია) უკვე დაამთავრა სასკოლო ინვენტარისა და მოწყობილობის რემონტი. მეურნეობა ნაყოფიერ მუშაობას ეწევა სასკოლო შენობების კეთილმოწყობისათვის. მიღებულია აგრეთვე ზომები შეშის მოსამარაგებლად.

სკოლებს სერიოზულ დახმარებას უწევენ უმაღათის ორჯონიკიძის სახელობისა და ხორშის (ცოზეთის) კოლმეურნეობები, ნავთობის ბაზისა და ტუნგოს ცხაკაიას სარაიონთაშორისო კინტორები, საქსოფლტექნიკის ცხაკაიას განყოფილება, უმაღათის ჩაის ფაბრიკა და სხვა საწარმო-დაწესებულებები.

ს. კუშავა.

„კომუნისტის“ შტატგარეშე კორ.

წერილი რედაქციას

სიყალბე მეცნიერებაში

მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ მუშაკთა მომზადება უაღრესად რთული საქმეა, მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე მუშაკს, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს მეცნიერულ კვლევებს და გაკაფოს ახალი გზები მეცნიერებაში, უდავო ნიჭიერებასთან ერთად უნდა ჰქონდეს დიდი ცოდნა, რაც თხოულობს უდიდეს და განუწყვეტელ შრომას. ჩვენი ხალხი სამართლიანად ამყაობს მეცნიერ მუშაკთა სახელოვანი არმიით, რომელიც შეუთვლელად სწევს წინ სამამული მეცნიერულ და ტექნიკურ აზრს.

მთელი საბჭოთა ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მეცნიერთა მიღწევები საყოველთაოდ აღიარებულია. მაგრამ ამას არ შეუძლია დაჩრდილოს ის ამბავი, რომ ზოგიერთ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებაში და უმაღლეს სასწავლებლებში იბადება „მეცნიერული შრომები“, რომლებიც არ წარმოადგენენ არავითარ ღირებულებას და რომელთაც შეუძლიათ მხოლოდ სახელი გაუტეხონ საბჭოთა მეცნიერს მაღალ და სამატიო წოდებას.

მეცნიერება ვერ იტანს სიყალბეს, მას არ შეუძლია თავის წიაღში დიდხანს მოითმინოს მიტმასნილი ადამიანები, საქმოსნები. ამის მაგალითია ის, თუ როგორ ამხილა ცხოვრებამ, პრაქტიკამ სელექციონერ-ზოოტექნიკოსის ა. ნატროშვილის ცრუმეცნიერული საქმიანობა.

ცნობილია, რომ 1949 წელს ცხვრის ახალ ჯიშად დამტკიცებულ იქნა ქართული ნახევრადნაზმატყლიანი ცხვარი, ხოლო მის ავტორად ა. ნატროშვილი. ამ უკანასკნელმა ახალი ჯიშის გამოყვანისათვის მიიღო მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. პროფესორის წოდება, სახელმწიფო პრემიის ლაურეატობა, დიდი მატერიალური ანაზღაურება. ახალი ჯიშის „შექმნით“ ა. ნატროშვილმა სახელი გაითქვა როგორც მეცნიერმა ნოვატორმა, პრაქტიკოსმა და თეორეტიკოსმა. ჯიშის „გამოყვანასთან“ დაკავშირებით ა. ნატროშვილი იმდენად პოპულარული გახდა, რომ იგი მოიხსენიეს სასოფლო-სამეურნეო ენციკლოპედიაში, ქართული ენის დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოში „დედა ენაში“. ქართულ თეატრში დადგა პიესა „მისი ეარსკვლავი“, სადაც ნაჩვენებია ა. ნატროშვილის თითქოს „თეორიული“ და „პრაქტიკული“ „ბრძოლა“ „მტრების“ წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, ახალი ჯიშის ცხვარი ყოველმხრივ იყო რეკლამირებული.

ბუნებრივია, რომ განუზომლად ნაკეთი ცხვრით დაინტერესდნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მათ ახალი ჯიშის ერკემლი უხვად გაიყვანეს თავიანთ მეურნეობებში ადგილობრივი დაბალპროდუქტიული ცხვრის გასაუმჯობესებლად. მაგრამ სიყალბეს, ტყუილს, როგორც იტყვიან, მოკლე ფეხები აქვს. შემდგომ წლებში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ერთსულოვნად კატეგორიული უარი განაცხადეს ქართული ჯიშის ერკემლის გაყვანაზე, რაც იმის შედეგია, რომ ქართული ცხვრის უმეტეს ნაწილს მატყლი სცვივა, დაბალპროდუქტიულია, მცირე აქვს ცოცხალი წონა და მისი თაობა არაერთგვაროვანია.

1949 წლიდან ა. ნატროშვილი საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო შემდგომ წლებში ამავე ინსტიტუტის მეცხოველეობის განყოფილების გამგედ მუშაობდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში განყოფილების მუშაკების უმრავლესობა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ცხვრის სრულყოფაზე მუშაობდა. ინსტიტუტს ეკუთვნოდა უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა, სადაც ქართული ცხვრის მოშენება წარმოებდა და წარმოებს. ა. ნატროშვილ ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი სამეშაოს მაღალი მეცნიერული დონით წარმართვისათვის, მაგრამ ფაქტიურად ამ „ძიებას“ არავითარი შედეგი არ მოუცია, ცხვრის პროდუქტიულობა, იმის ნაცვლად, რომ ჯიშის დამტკიცებისა და მისი სრულყოფისათვის წარმოებული მუშაობის შემდეგ გადიდებულიყო, ძალზე მცირეა და წლითწლობით კიდევ უფრო კლებულობს. მისი პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლები არ შეესაბამება თვით ნატროშვილის მიერ ამ ჯიშისათვის დადგენილ სტანდარტს.

ქართული ჯიშის უდიდესი ნაკლია მატყლის გადვერცვა (გაცვენა). სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ გადვერცვა საერთოდ მხოლოდ ნაირბეწვიან (უხეშმატყლიან) ცხვრებს ახასიათებს. ეს თვისება მათ გარეული ცხვრებისაგან აქვთ მემკვიდრეობით მიღებული და დაკავშირებულია ბუნებასთან შეგუების (თავდაცვის) პროცესთან. სიცივის დადგომისას ცხვრებს თავთავი დიდი რაოდენობით ამოსდის, სიცხის დადგომის წინ კი სცვივა. მსოფლიოში არ არსებობს ცხვრის ისეთი ერთგვაროვანი მატყლის მქონე ჯიში, რომელსაც გადვერცვა ახასიათებდეს. ქართული ერკემლების გაყვანის შემდეგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებულ მეტისებზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ეს ჯიში გადვერცვის თვისებას თაობაშიც კი აყენებს.

აი რა სურათი მოგვცა საქართველოს ზოოვეტერინარიული სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ. უდაბნოს ყოფილ საბჭოთა მეურნეობაში მატყლის გადვერცვის გარეცხვების შესწავლამ ცხვრის სხვადასხვა ფორმში. № 24 ბრიგადაში, სადაც ცხვარი თუშური ჯიშისაა, მატყლი გაცვენილი ჰქონდა მთელი სულადობის 2 პროცენტს, ხოლო ქართული ჯიშის ცხვრის საელიტო, ე. ი. ყველაზე უკეთეს ბრიგადებში — ცხვრის 64-86 პროცენტს.

ყველას, ვინც ქართული ცხვრის ნაკლის გამოავლენებას შეეცდებოდა, ნატროშვილი დევნიდა და ავიწროებდა.

მატყლის ცვენის თანდათან უფრო მეტად გავრცელების გამო ქართული ცხვრის ნაპარსის საშუალო წონა წლითიწლობით კლებულობს. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საელიტო ფარებში გაზაფხულის ნაპარსმა თითოეულ ნერგზე ერთ კილოგრამზე ნაკლები შეადგინა. 1961 წელს № 4 ელიტურ ბრიგადაში მიღებული მხოლოდ 0,48 კილოგრამი გაზაფხულის ნაპარსი, ხოლო № 6 ბრიგადაში — 0,51 კილოგრამი. და ეს მაშინ, როდესაც ამ ჯიშის ნერგმა, თვით ავტორის მიერ შედგენილი სტანდარტის მიხედვით, უნდა მოგვცეს 3-3,5 კილოგრამი მატყლი, ხოლო თუშური ცხვარი ძალევა საშუალოდ სულ ცოტა ორ კილოგრამ მატყლს. დამახასიათებელია, რომ ქართული ნახევრადნაზმატყლიანი ცხვრის ფარაში საკმაოდ დიდი რაოდენობითაა ნახევრადუხეშმატყლიანი ცხვარი. მაგალითად, № 4 საელიტო ბრიგადაში ნახევრად უხეშმატყლიანმა ცხვარმა შეადგინა 26 პროცენტი, ხოლო № 6 ბრიგადაში — 25 პროცენტი.

სამგორის მეცხოველეობის საკიში საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო მაჩვენებლები, სადაც თავმოყრილია ქართული ცხვრის მთელი სულადობა, გაუმჯობესების მაგივრად გაუარესდა და არ აღემატება მეცხვარეობის საშუალო კოლმეურნეობის მაჩვენებლებს, თუმცა იქ შექმნილია საუკეთესო პირობები ცხვრის გამოკვებისა და შენახვისათვის.

ქართული ცხვრის უაღრესად დაბალი პროდუქტიულობის გამო მეურნეობაში ძალზე ნაკლებია მატყლის წლიური გამოსავალი თითოეულ ცხვარზე: 1960 წელს იგი შეადგენდა 2,15 და 1961 წელს — 2,13 კილოგრამს. ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვანშნოთ, რომ ბეჭრად უკეთესი მაჩვენებლები აქვს რესპუბლიკის ათობით კოლმეურნეობას. მაგალითად, საკვბის ფერო ნაკლები ხარჯვით წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობაში სწორედ მიღებულია 3, ხოლო სილნალის რაიონის სოფელ ბოდბის კოლმეურნეობაში — 3,7 კილოგრამი მატყლი. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სამგორის მეურნეობაში შემცირდა ბატკნის მიღება ყოველ 100 ნერგზე (1952 წელს მიიღეს 94 ბატკანი, ხოლო 1961 წელს — 80 ბატკანი).

მეცხვარეობაში ა. ნატროშვილის მრავალი წლის მუშაობამ ცხადყო, რომ მან ვერ გაუწია ან ვერ ასრულა ნამდვილი მუშაობას ასეთი ფართო ფრონტზე. ეს ფრონტი ეკუთვნოდა ეროვნული ეკონომიკის ერთ-ერთ ძირითადს, ეროვნულ ეკონომიკურ ეფექტს, ეროვნულ ეკონომიკურ ეფექტს, ეროვნულ ეკონომიკურ ეფექტ

მშვიდობის ხმა

სამი დღის შემდეგ მოსკოვში გაიხსნება მშვიდობის მსოფლიო კონგრესი

მშვიდობის მომხრეთა შეხვედრის წინ

მოსკოვი, 4 ივლისი. (საკდესი). როგორც საკდესის კორესპონდენტი იტყობინება, საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის საერთაშორისო მოსამზადებელ კომიტეტში იმ ქვეყნების რიცხვმა რომელთა წარმომადგენლები ამიერებენ, მშვიდობის მომხრეთა შეხვედრაზე მოსკოვში ჩამოსულს, 120-ს მიაღწია.

ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი იქნება ინდოელთა დელეგაცია. მოსალოდნელია, რომ ამ ქვეყნიდან ჩამოვა 140-ზე მეტი კაცი. ინდოელთს კეთილი ნების ადამიანთა წარმომადგენლებს შორის არიან — სრულიად ინდოელთა აფრიკა-აზიის სოლიდარობის ასოციაციის თავმჯდომარე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი რამეშვარი ნერუ, ინდოელთა წითელი ჯვრის თავმჯდომარე, ჯანმრთელობის დაცვის ყოფილი მინისტრი რაჯკუმარი ამრიტ კაური, ინდოელთა მშვიდობის საბჭოს თავმჯდომარე პანდიტ სუნდერლალი, ცნობილი მწერალი მულკ რაჯ ანანდი. დელეგაციის შემადგენლობაშია აგრეთვე დაახლოებით 50 დეპუტატი — პარლამენტის წევრი.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციაშია დაახლოებით 20 კაცი. ესენი არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები და კულტურის მოღვაწეები, პროფკავშირთა ხელმძღვანელები, ჟურნალისტები. არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის დელეგაციასთან ერთად მოსკოვში ჩამოვა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი კეზა ნაბარაუი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა წარმოდგენილი იქნება ორმოცზე მეტი კაცისაგან შემდგარი დელეგაციით. მათ რიცხვში არიან — მწერალი იაროსლავ ივაშკევიჩი, სწავლული-ეკონომისტი ოსკარ ლანგე, უხუცესი საზოგადო მოღვაწე, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატი ოსტაპ დლუსკი.

35 ქვეყნის ახალგაზრდობის ორგანიზაციის 120 წარმომადგენელმა უკვე გაანაცხადა, რომ მონაწილეობას მიიღებს საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესში, რომელიც 9 ივლისს იხსნება მოსკოვში. მათ შორის არიან — იტალიის, პოლონეთის ფინეთის, საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, პერუს, ეკვადორის, ეიენამის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სენეგალის, სომალის, იაპონიის, ბრაზილიისა და ბევრი სხვა სახელმწიფოს ახალგაზრდობის ორგანიზაციებისა და ჯგუფების ხელმძღვანელები.

კონგრესის კომიტეტს კვლავ მოსდის მხარდაჭერის წერილები ყველა ქვეყნის ცნობილი საზოგადო მოღვაწეებისაგან. კულტურის მოღვაწეებისა და უბრალო ადამიანებისაგან.

ლაპარაკობენ სტუმრები

მოსკოვი, 4 ივლისი. (საკდესი). საკდესის კორესპონდენტებმა ჩვენს ქვეყანაში მყოფ მთელ რიგ საზღვარგარეთელ სტუმრებს სთხოვეს გამოეთქვათ აზრი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის შესახებ, რომელიც მოსკოვში გაიმართება. აი რა უპასუხეს მათ.

ვილი ნანსენ ენსენი — დანიისა და საბჭოთა კავშირის თანამშრომლობის საზოგადოების ქალაქ ორჰუსის განყოფილების გამგეობის წევრი:

— საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის მოწვევა თვალსაჩინო მოვლენაა მშვიდობისათვის ბრძოლაში. დანიელ ხალხს არ სურს ომი. უნდა გაერთიანდეს მთელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებსაც სერიოზული სამშუალებანი მოუპოვებათ ომის თავიდან აცილებლად. მშვიდობისათვის ბრძოლაში არავითარი ღონისძიება არ შეიძლება ამაო იყოს.

* * *

ვალდიოდიო ნ' დიაი — სენეგალის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფრიკის დამამბილებელ ქალაქთა ფედერაციის პრეზიდენტი:

საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მოსკოვის მსოფლიო კონგრესს პოზიტიური შედეგები უნდა მოჰყვეს განიარაღების საკითხებში. სასიხარულოა, რომ კონგრესზე წარმოდგენილი იქნება მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სულ სხვადასხვა ფენა, იგი თვით ხალხებს სწორედ იმათ მისცემს საშუალებას გამოთქვან საკუთარი აზრი, ვინც უშუალოდ გრძნობს ომის საფრთხეს.

საერთაშორისო კონფერენციაზე

ჟენევა, 4 ივლისი (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აქ ევროპის ატომურ გამოკვლევათა ცენტრის შენობაში გაიხსნა 1962 წლის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება მაღალ ენერგიათა ფიზიკას. ასეთ კონფერენციებს ორ წელიწადში ერთხელ იწვევენ თეორიული და გამოყენებითი ფიზიკის საერთაშორისო კავშირი. კონფერენციაში მონაწილეობს 39 ქვეყნის 400 მეცნიერი, მათ შორის საბჭოთა ფიზიკოსების დიდი დელეგაცია.

ამერიკელი ხალხის დელეგაცია

ნიუ-იორკი, 4 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი მარი ფრიმენი იტყობინება: ახლზე მეტი ამერიკელი მიემგზავრება ახლა მოსკოვში საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე. მათ თან მიაქვთ მრავალი ათასი ამერიკელის მხურვალე სურვილები.

დელეგაციის წევრთა შორის არიან საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლები — ცნობილი ჟურნალისტი და ლექტორი ჯერომ დევისი, ისტორიკოსი ჯოზეფ მორი, დრამატურგი ჯონ პოვარდ ლოუსონი, რელიგიური მოღვაწე მარკ ჩემბერლენი და სხვები.

ბევრ თვალსაჩინო ამერიკელს უნდოდა მონაწილეობა მიეღო კონგრესის მუშაობაში, მაგრამ ვერ შეძლო: ზოგმა პირადი მიზეზების გამო, მაგალითად საირუს იტონმა, ზოგმა იმის შიშით, რომ საპყრობილეში მოხვდებოდა რეპრესიული კანონების გამო.

საირუს იტონმა კონგრესს გაუგზავნა მისასალმებელი წერილი და გამოთქვა რწმენა, რომ კონგრესი დიდ გავლენას მოახდენს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე.

მიუხედავად იმისა, რომ ხელს უშლიან ამერიკელთა მონაწილეობას კონგრესში, ამერიკის შეერთებული შტატები მაინც ფართოდ იქნება წარმოდგენილი კონგრესზე. ამერიკის დელეგაციის მრავალრიცხოვნობა და მისი შემადგენლობა გამოხატავენ იმას, რომ შეერთებულ შტატებში იზრდება მოძრაობა მშვიდობის დასაცავად. ყოველ ახალ თერმოატომურ მოწყობილობასთან ერთად, რომელსაც აფეთქებენ ატმოსფეროში, წყნარ ოკეანეში, და ყოველ ახალ ატომურ ბომბთან ერთად, რომელსაც ნევადაში სცდიან, ამერიკელ ხალხს სულ უფრო მკაფიოდ ესმის, რომ საჭიროა განიარაღება და საერთაშორისო დაძაბულობის შენელება.

სასიხარულო მოვლენა

პარიზი, 4 ივლისი. საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მომავალი მსოფლიო კონგრესი სასიხარულო მოვლენაა, იგი დიდ გავლენას მოახდენს მთელ მსოფლიოზე, განუცხადა საკდესის კორესპონდენტს შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა ბენუა ფრაშონმა.

სულ უფრო მეტი უბრალო ადამიანი მიდის იმ დასკვნამდე, რომ საყოველთაო და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღების კურსი ერთადერთი სამართლიანი და აუცილებელი კურსია დაძაბულობისა და გამლაზეული შეიარაღების ვითარებაში. სულ უფრო მეტი ადამიანი ემხრობა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეებს და მათთან ერთად რწმენას, რომ განიარაღება აუცილებელია.

მოსკოვის კონგრესი, ხაზგასმით აღნიშნა ფრაშონმა, განამტკიცებს და გაფართოებს საყოველთაო მოძრაობას მშვიდობისათვის და საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დიდი ზეგავლენა მოვახდინოთ მილიტარისტულ ძალებზე, რომლებიც აჩაღებენ გამლაზეულ შეიარაღებასა და ისწრაფვიან დაინთონ მსოფლიო ხანძარი.

* * *

მოსკოვი ეგებება საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის მსოფლიო კონგრესის დელეგატებს.

სურათზე: აფრიკის ქვეყნების დელეგატების შეხვედრა შერემეტიევოს აეროდრომზე.

ფოტო ა. ლიბერმანისა და მ. სკურიხინასი.



ჩნოგენ ალჟირის რესპუბლიკას

პეკინი, 4 ივლისი. (საკდესი). სახალხო ჩინეთის მთავრობამ გადაწყვიტა ცნოს ალჟირის რესპუბლიკა. ეს ნაოქვამია დეპეშაში, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩენ ი-მ გაუგზავნა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრს საადუ დაქალბუს.

ბონირი ალჟირელი ხალხის გამარჯვებასა და ალჟირის დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნას დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი მსოფლიო საზოგადოებრობა. უკანასკნელი რამდენიმე საათის განმავლობაში აფრიკის ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო ცნეს ინდონეზიამ, იაპონიამ, განამ, ფინეთმა, ნორვეგიამ, საბერძნეთმა, ბრაზილიამ, გაბონმა, ნიგერმა, ნიგერიამ, გვინეამ. ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის თავმჯდომარის ბენ ჰედის სახელზე მსოფლიოს ყველა კუთხიდან კვლავ მოდის მისალმებანი ალჟირელი ხალხისადმი დამოუკიდებლობის მოპოვების გამო. (საკდესი).

აღქირის მთავრობის სხდომა

ალჟირი, 5 ივლისი. (საკდესი). გუშინ ქალაქ ალჟირში გაიმართა ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის პირველი სხდომა ალჟირის ტერიტორიაზე, იუწყება ალჟერი პრეს სერვისის საგენტო. სხდომაზე იხილავდნენ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა მას შემდეგ, რაც ალჟირმა დამოუკიდებლობა მიიღო.

„დამამოუკიდებელი“ სიტყვები

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის გამოსვლა დამოუკიდებლობის დღის გამო

*

ფილადელფია, 4 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი **მ. სალათელიანი** იტყობინება: 186 წლის წინათ — 1776 წლის 4 ივლისს — ქალაქ ფილადელფიაში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პირველი დედაქალაქი გახდა, ამერიკის „მამადამაარსებლებმა“ თომას ჯეფერსონმა, ჯორჯ ვაშინგტონმა და სხვებმა მიიღეს „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, რომელმაც გამოაცხადა ამერიკის კოლონიების გამოყოფა ბრიტანეთის იმპერიისაგან და ამერიკის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

მას შემდეგ 4 ივლისი გახდა ოფიციალური ეროვნული დღესასწაული — ამერიკის შეერთებული შტატების „დამოუკიდებლობის დღე“. დღეს ფილადელფიის ცენტრალურ მოედანზე ორსართულიანი აგურის შენობის წინ, რომელიც ეკლესიას ჰგავს და რომელსაც აქვს სამრეკლო — „დამოუკიდებლობის დარბაზი“, სადაც 1776 წელს მიღებული იყო „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“, შეიკრიბა ქალაქის რამდენიმე ათეული ათასი მცხოვრები, რათა მოესმინა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯ. კენედის გამოსვლა, მიძღვნილი ამერიკის ეროვნული დღესასწაულისადმი.

პრეზიდენტ კენედის სიტყვა მნიშვნელოვანწილად მიეძღვნა „დამოუკიდებლობის დეკლარაციის“ ისტორიულ როლის შეფასებასა და მის მნიშვნელობას დღევანდელი ამერიკისათვის.

კენედი ამტკიცებდა, რომ ამჟამადაც „დამოუკიდებლობის დეკლარაცია“ „ჯერ კიდევ არის რევოლუციური დოკუმენტი“. მისი წაკითხვა დღეს, თქვა, კერძოდ, პრეზიდენტმა, — ნიშნავს „გავიგონოთ ბუკის ხმა“. დამოუკიდებლობის დოკტრინა, განაგრძო კენედიმ, კვლავ მძლავრი ძალაა ყველგან დღევანდელ მსოფლიოში.

კენედიმ აღიარა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ჩვენს დროში ისეთი ფართო მასშტაბით განვითარდა მთელ მსოფლიოს ხალხებს შორის, რომ „ძველი კოლონიური სამყაროს მეტ წილ რაიონებში ეს ბრძოლა დასასრულს უახლოვდება“, და განაცხადა, რომ „თავისუფალი სამყაროო“ (ასე უწოდებს იგი კაპიტალიზმის სამყაროს, — რედ.) ახლა დგას ახალი დოკტრინის მიღების წინაშე, რომელიც საჭიროდ ხდის სახელმწიფოთა პოლიტიკას საფუძველად დაედოს ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი. კენედიმ მაგალითად მოიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა მათ მოკავშირე — დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან.

კენედიმ, რომელსაც აშკარად მხედველობაში ჰქონდა, რომ შესაძლებელად გამწვავდა წინააღმდეგობანი შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის და გადიდდა ამ ქვეყნებში მისწრაფება თავი დააღწიონ ამერიკის „ხელმძღვანელ როლს“, წარმოთქვა შემდეგი „დამამშვიდებელი“ სიტყვები: ამერიკის შეერთებულ შტატებს „ძ�eერი და გაერთიანებულ ევროპა მიაჩნიათ პარტნორად, და არამეტოქედ. მისი პროგრესისადმი დახმარება ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო უკანასკნელი 17 წლის მანძილზე. გვჯერა, რომ გაერთიანებული ევროპა შეძლებს შეასრულოს უფრო დიდნაშვნელოვანი როლი საერთო თავდაცვაში, შეძლებს უხვად გამოეხმაუროს უფრო ღარიბი ქვეყნების საჭიროებებს, შეძლებს გაერთიანდეს შეერთებულ შტატებთან და სხვა ქვეყნებთან, რომ შეამცირონ სავაჭრო ბარიერები, გადაჭრან ვალუტისა და საქონლის პრობლემები და შეიმუშაონ კოორდინირებული პოლიტიკა ეკონომიკის, დიპლომატიისა და პოლიტიკის ყველა სხვა დარგში. ჩვენ ასევე ევროპა მიგვაჩნია პარტნიორად, რომელთანაც შეგვიძლია ვაშენოთ ურთიერთობა სრული თანასწორობის საფუძველზე“.

თავის სიტყვაში პრეზიდენტი კენედი არ შეეხო არავითარ სხვა საერთაშორისო ან საშინაო პოლიტიკურ პრობლემებს. თავისი გამოსვლის დასკვნის აბზაცში მან სრულიად ზოგადად და ფრთხილად განაცხადა, რომ შეერთებული შტატები მზად არიან შეუერთდნენ „სხვა ადამიანებისა და ერების მეცადინეობას მშვიდობისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის“.



ამერიკის რაკეტული დანადგარები კუნძულ ტაივანზე. (ფოტოსურათი ჟურნალ „ნიუსუიკიდან“).

ტელეგრამა გვატყობინებს

□ **ნიუ-იორკი**, 5 ივლისი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, ატომური იარაღის წინააღმდეგ არაძალმომრეობითი მოქმედების მომხრეთა ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელმა რობერტ მოსმა განაცხადა, რომ პატარა გემი „ვერიმენ 1“ კვლავ გიმარჯვა წყნარ ოკეანეში ატომური იარაღის გამოცდების რაიონისაკენ. ეს ამ გემის მეორე ცდაა შევიდეს საშიშ ზონაში ნიშნად პროტესტისა ატომური იარაღის გამოცდების წინააღმდეგ, რასაც შეერთებული შტატები აბორიგენებენ.

გემზე არიან ბარტონ სტოუნი, ბობ რობინსი და უოლტ ჩაფი.

□ **რიო-დე-ჟანეირო**, 4 ივლისი. (საკდესი). ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა უარი თქვა დიმტკიცებინა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც მოურა ანდრადემ წარუდგინა. როგორც გაზეთი „ჟორნალ დო ბრაზილი“ იუწყება, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი უარყოს კაბინეტის ყოველი შემადგენლობა, თუ იგი „არ შეესაბამება ხალხის მოთხოვნებს“. ამ მოთხოვნებს შორის, აღნიშნავს გაზეთი, გულარტი ასახელებს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის შენარჩუნებას.

□ **ნიუ-იორკი**, 5 ივლისი. (საკდესი). საინფორმაციო საგენტოების ცნობით, გუშინ ბრაზილიის პრეზიდენტ-მინისტრი მოურა ანდრადე გადადგა, რადგან რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა უარი თქვა დიმტკიცებინა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა, რომელიც მან წარუდგინა.

□ **ჰავანა**, 5 ივლისი. (საკდესი). კუბის რევოლუციური შეიარაღებული ძალების სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა ცნობა ამერიკელი იმპერიალისტების ახალი პროვოკაციების შესახებ კუბის წინააღმდეგ. ცნობაში აღნიშნულია, რომ 3 ივლისს ამერიკის სამხედრო თვითმფრინავებმა ორჯერ დაარღვიეს რესპუბლიკის საჰაერო საზღვრები.

ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მონტევიდეო, 4 ივლისი. (საკდესი). აქ გაიმართა ურუგვაის კომპარტიის ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი 15 წევრის შემადგენლობით.

ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად კვლავ აირჩიეს როდნეი არისმენდი.

ბოლოდროინდელ ამინდებზე

ARC თუ დიდი ხნის წინათ პოლონეთში ტურნეს მართავდა სსრ კავშირის ჩემპიონი ხელბურთში (7×7) თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა გუნდი. როგორც ცნობილია, ქართველმა ხელბურთელებმა აქ სხვადასხვა გუნდებთან ოთხი მატჩი გამართეს და ოთხივე მოიგეს.

და აი სპასუხო ვიზიტით თბილისს ეწვივნენ პოლონელი ხელბურთელები. ესენი არიან ამ ქვეყნის ქალთა და სტუდენტ ვაჟთა ნაკრები. გუნდები, რომლებიც ევროპაში კარგად არიან ცნობილი.

საპასუხო ვიზიტით

გუშინ ჩვენმა სტუმრებმა სპორტის სასახლეში გამართეს ორი საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. ქალთა გუნდი შეხვდა პოლიტექნიკური ინსტიტუტის (თბილისის „ბურევესტნიკი“) ხელბურთელებს, კაცთა გუნდი — თბილისის „ბურევესტნიკის“ გუნდს.

ქალთა შეჯიბრების პირველ ნახევარში ბრძოლა დაახლოებით თანაბარი იყო. იგი დამთავრდა ფრედ 2:2. მეორე ტაიმში ქართველმა ხელბურთელებმა შედარებით უსუსტად ითამაშეს, ოთხი ბურთი მიიღეს საკუთარ კარში და წაადგეს. მატჩი ანგარიშით 2:6.

უფრო მძაფრი იყო ვაჟთა გუნდების ბრძოლა. მართალია ანგარიში თბილისელებმა გახსნეს, მაგრამ ბალე საპასუხო ბურთი მიიღეს. ამის შემდეგ უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა, ანგარიში ხშირად თანაბარი იყო — 2:2, 3:3, 5:5, 7:7. ტაიმის ბოლო წუთში, როდესაც მოწინააღმდეგეთა ფარებზე ვხედავდით ციფრებს 10:10, სტუმრებმა შეძლეს ბურთის გატანა და თამაშის პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდ 11:10 დაამთავრეს.

მეორე ნახევარში ორივე გუნდი მთელი დაძაბვით იბრძოდა. მატჩის ბედი გადაწყდა ბოლო წუთებში. როდესაც ანგარიში იყო 19:19, თბილისელთა ორმა გოლმა მათ გამარჯვება მოუტანა — 21:19.

მატჩის გმირი იყო პოლონელთა მეკარე გენშორი. მან არაერთხელ დაიმსახურა მაყურებელთა ერთსულოვანი ტაში.

გუშინ ფეხბურთის მოედნებზე

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი მატჩები ფეხბურთში. აი მათი შედეგები:

პირველი ჯგუფი

ალმა-ათაში თამაშობდნენ ადგილობრივი „კაირატისა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. მატჩის შედეგი ფრე 0:0.

რიგაში „დაუგავასა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა „მოლდოვას“ გამარჯვებით 4:0.

კიევში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი ადგილობრივი „დინამო“ შეხვდა ერევნის „სპარტაკს“ და გაიმარჯვა ანგარიშით 8:1.

დონის როსტოვში თამაშობდნენ სკასა და ცსკა-ს ფეხბურთელთა კოლექტივები. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

მეორე ჯგუფი

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდა დედაქალაქის ორი გუნდი „სპარტაკი“ და „ტორპედო“. მატჩის შედეგია ფრე 1:1.

ბაკოში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა“ და ხარკოვის „ავანგარდის“ გუნდების შეჯიბრება დამთავრდა ბაკოელთა გამარჯვებით 4:0.

მინსკში მეორე ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი ტაშკენტის „პახტაკორი“ შეხვდა ადგილობრივ „ბელარუსს“. გაიმარჯვა „პახტაკორმა“ 1:0.

კუიბიშევში „კრილია სოვეტოვი“ თავის მოედანზე თამაშობდა ლენინგრადის „დინამოს“ წინააღმდეგ. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 0:0.

თბილისის „დინამოს“ დუბლიორთა გამარჯვება

დღეს მოსკოვში შედგება საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრის უკანასკნელი მატჩი ფეხბურთში მოსკოვისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს შორის.

ტორპედოელებთან შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ თბილისელ ფეხბურთელთა გამოსვლას დედაქალაქის სპორტის მოყვარულები შეუნელებელი ინტერესით მოელიან.

თამაშს სკის საკავშირო კატეგორიის მსაჯი ა. ალოკი (ლენინგრადი).

ამ გუნდების დუბლშემადგენლობათა შეჯიბრება, რომელიც გუშინ გაიმართა, დამთავრდა თბილისის გუნდის გამარჯვებით 5:0.

სსრ კავშირი-იუგოსლავია— 37:23

ლვოვი, 4 ივლისი. (საკდესი). იუგოსლავიისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეთა მატჩზე დღისით გაიმართა დაუთმავრებელი პარტიების გათამაშება.

გლეგორიჩ-შტეინის შეხვედრა 57-ე სვლაზე დამთავრდა იუგოსლავიის ოდოლტატის დამარცხებით. ბრონშტეინმა გაინაღდა უპირატესობა პარტიაში მინიჩთან. ივანოვიჩი და ზვორიკინა ყაიმზე შეთანხმდნენ.

დამთავრდა მრავალი დღის საჰაერაკო ბრძოლა. გამარჯვება მოიპოვა სსრ კავშირის გუნდმა ანგარიშით 37:23.

„დინამო“ — ცსკა

გუშინ მოსკოვში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი კალათბურთში დედაქალაქის „დინამოსა“ და ცსკა-ს გუნდებს შორის. გაიმარჯვეს არმიელმა კალათბურთელებმა ანგარიშით 100:63.

ვინ რა გვიბრძანა ბილიარდსთვის

თბილისი „დინამოს“ ბრწყინვალე გამარჯვებები დიდი წვლილი მიუძღვის დინამოელთა მწვრთნელს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს ოთარ ქორქიას. საბჭოთა კალათბურთის ვეტერანსა და გამოჩენილ ოსტატს საინტერესო სპორტული ბიოგრაფია აქვს.

სპორტის დამსახურებული ოსტატი ოთარ ქორქია დაიბადა 1928 წელს, ადრე მოკიდა ხელი სპორტს და უკვე 1936 წელს თამაშობდა კალათბურთის ყუთაოსის ბავშვთა გუნდში, ხოლო 1937 წლიდან ქუთაისის ნაკრებში. პარალელურად გამოდიოდა მძლეოსანთა შეჯიბრებებში. 1939 წელს იყო ამერიკაკაკასიის ჩემპიონი და რეკორდსმენი ბირთვის კვრაში. 1940 წლიდან შედიოდა საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებ გუნდში.

1946 წლიდან ოთარ ქორქია თამაშობს თბილისის „დინამოში“, ამავე დროს იგი შეიყვანეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში და შეუცვლელი ცენტრალური თავდამსმელი იყო 1955 წლამდე. თბილისის „დინამოს“ გუნდი რომლის შემადგენლობაში წარმატებით თამაშობდა ოთარ ქორქია, მრავალჯერ გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი — 1950, 1953 და 1954 წლებში, სამჯერ მოიპოვა საბჭოთა კავშირის თასი. როგორც საბჭოთა ნაკრების წევრი ოთარ ქორქია მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატებში, სადაც რამდენიმე ოქროს მედალი მოიპოვა.

იგი აგრეთვე ბელსინკის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედლის მფლობელია.

1958 წლიდან ოთარ ქორქია გადადის მწვრთნელად და მუშაობს საზოგადოება „დინამოში“ ნორჩ კალათბურთელებთან. 1960 წლიდან ოთარ ქორქია სათავეში ჩაუდგა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდს. 1961 წელს თბილისის დინამოელები იყვნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზორები, ხოლო წელს, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, დიდ წარმატებას მიაღწიეს და გახდნენ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელნი!

კალათბურთში ევროპის ჩემპიონთა თასისათვის თბილისის დინამოელთა ნაკრებში იბრძოდა სპორტის ოსტატი **ალ. პეტროვი**. იგი 28 წლისაა. როგორც სსრ კავშირის ნაკრები გუნდის წევრი მონაწილეობდა რომის ოლიმპიურ თამაშებში და აგრეთვე მრავალ საერთაშორისო შეხვედრაში.

წინ არიან საგჯოთა ტანმოვარჯიშეები

ბრაღა დიდი ასპარეზობის მოწმეა. აქ ორი დღეა მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი სპორტულ ტანგარჯიშში.

4 ივლისს გვიან საღამოს დამთავრდა გაეთა საგალდებულო ვარჯიშები. წინ არის სსრ კავშირის გუნდი, რომელსაც 285,70 ქულა აქვს. ლიდერს მხოლოდ 0,55 ქულით ჩამორჩება იაპონიის გუნდი.

მეტად მწვავედ ხასიათდებოდა პირადი ასპარეზობა. საგალდებულო ვარჯიშის შესრულების შემდეგ ლიდერია ი. ტ ტ ტ ო ვ ი (57,65 ქულა). მეორე ადგილზეა ი. ენ ნ დ ო (იაპონია, 57,55 ქულა), მესამეზე — მ. ც ე ს ა ნ ო (იუგოსლავია, 57,30 ქულა). მეოთხე და მეხუთე ადგილებზე არიან ბ. შ ა ნ ტ ი ნ ი და ტ. ო ნ ო (იაპონია).

გუშინ ბრძოლაში ჩაეკნენ ტანმოვარჯიშე ქალები. აქ მთავარი მეტოქეები არიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენები. სამ იარაღზე ვარჯიშის შემდეგ წინ იყვნენ ლ ატ ვ ი ნ ა (38,598 ქულა) და ჩ ე ს ლ ა ვ ს კ ა (38,330 ქულა). გუნდურ ჩათვლაში წინ არიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ველოგოლა

ბრძოლდება საკავშირო მრავალდღიანი ველოსრბოლა. გაგლილია ათ ეტაპი. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ ეტაპზე გაიმარჯვეს უცრაინელებმა, საერთო ლიდერობას კვლავ ესტონელი სპორტსმენი ი. ვიარავასი ინარჩუნებს. გუნდურ ჩათვლაში წინ არის რსფსრ ველომრბოლთა კოლექტივი.

პამირზე საიერიშოდ

ერთ ალპინისტურ ჯგუფში...

ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ ინგლისელი მთამსვლელები. საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ისინი მოაწყობენ ექსპედიციას ჩრდილოეთ-დასავლეთ პამირში. სტუმრების ჯგუფს მეთაურობს ლონდონის ალპიური კლუბის თავმჯდომარე ჯონ ჰანტი, რომელიც 1953 წელს ხელმძღვანელობდა ექსპედიციას ჰიმალაიის უმაღლეს წვერტილ—ჯომოლუნგმაზე, რომლის ორი მონაწილე — ჰილარი და ტენსინგი პირველად ავიდნენ ამ მწვერვალზე (8.854 მეტრი). ინგლისელთა ჯგუფის შემადგენლობაში არიან გამოცდილი თმამსვლელები მწვრალი ეიდფრიდ ნოლსი, მასწავლებელი ჯორჯ ლოუ, მოსამსახურეები რალფ ჯონსი, ჯონ ბრაუნი და სხვები.

ინგლისელებთან ერთად მთაში წავლენ სსრ კავშირის სპორტის ოსტატი, მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დოცენტი ანატოლი ოვჩინიკოვი, გამოცდილი მთამსვლელები ევგენი გიპენრეიტერი, ვლადიმერ მალახოვი, ნიკოლოზ შალაევი, ანატოლი სეგასტიანოვი და ნიკოლოზ ალტუხოვი. ოვჩინიკოვი და გიპენრეიტერი კარგად იცნობენ თავიანთ ინგლისელ კოლეგებს "მოტლანდიის მთებში ერთობლივი ასვლებით.

ახლა საბჭოთა კავშირ-ინგლისის ექსპედიცია დუშანბეში იმყოფება. კერტმფრინავებით მათ გადაიყვანენ ღარმოს მყინვარზე, სადაც გაიშლება საბაზო ბანაკი. სტუმრებს სურთ ავიდნენ ჩვენი ქვეყნის უმაღლეს მწვერვალზე — კომუნიზმის პიკზე (7.495 მეტრი). ამ მწვერვალზე ასვლამდე ისინი, ალბათ, ავლენ ღარმოს (6.595 მეტრი) და მოსკოვის (6.785 მეტრი) მწვერვალებზე.

ჯონ ჰანტი ახალგაზდა როდია ჩვენს მთებში. 1958 წელს იგი კაკასიონზე იყო, ხოლო 1960 წელს — პამირში.

„მოხარული ვართ, რომ საბჭოთა და ინგლისელი მთამსვლელების კონტაქტები წლითიწლობით მტკიცდება, — განუცხადა ჰანტმა საკდესის კორესპონდენტს. — ამ კონტაქტებმა მიაღწიეს ისეთ სტადიას, როცა ჩვენ უკვე გაწყობთ ერთობლივ ექსპედიციებს“.

„ვოლგა“ „მოსკვიჩი“ —გედნიერი, გილეთით

მსუბუქი ავტომობილების მაღაზიამ ზუგდიდის მცხოვრებ შუდული გაბედავს ჩაბარა ლატარიის ბილეთით მოგებული ავტომობილები „ვოლგა“.

ახლა „მოსკვიჩის“ მარკის ავტომობილებს იღებენ რკინიგზის სადგურ ბაშურის უფროსი ელექტრომექანიკოსი შოთა ქიმერიძე, ბათუმის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ოსტატი პეტრე შანოიანი, გორის საკონსერვო ქარხნის ბრიგადირი არშაკ ბენიანი, აგრეთვე გორის რაიონის სოფელ ბიდისთავის, წალენჯიხის რაიონის სოფელ ობუჯის მცხოვრებნი, ქალაქ ქუთაისის მცხოვრები და სხვ.

ექვსმა თბილისელმა უკვე მიიღო ლატარიაში მოგებული პიანინოები. რამდენიმე დღეში ლატარიის ბილეთებით მოგებული პიანინოები, მიიღო 14 კაცმა.

სავაჭრო ორგანიზაციებმა ასობით გასცეს მაცივრები, საკერავი მანქანები. რადიოლები, ტელევიზორები, მტვერსასრუტები და იატაკის ელექტროსაწმენდები.

საქართველოს ყველა ქალაქსა და სოფელში წარმატებით იყიდება ბილეთები მესამე გამოშვების ლატარიისა, რომლის მოგებათა ტირაჟი 20 სექტემბერს გა



ყირჩიე, სად გსურს იცხოვლო!

თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1962-63 სასწავლო წლისათვის I და III კურსზე. სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე მედდების სპეციალობით მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც **აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:** 1.ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

III კურსზე საფერშლო სპეციალობით მიიღებიან **საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:** 1. ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი).

I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და III კურსზე 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე შეაქვს განცხადება შემდეგი **საბუთების დართვით:** 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. პირადად წარმოდგენილი იქნება დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი. შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, და კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომის ნორმების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.

შენიშვნა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებელში ჩარიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთებთან დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ ხელმოწერილი. ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის მიხედვით უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით. საბუთები მიიღება მიმდინარე წლის 31 ივლისამდე დღის 12 საათიდან 8 საათამდე.

სასწავლებლის მისამართი: ქ. თბილისი, პეტრიაშვილის ქ. № 7 ტელ. 1-51-47.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1962-63 სასწავლო წლისათვის შემდეგი სპეციალობების მიხედვით

I. დაუსწრებელი ასპირანტურა

ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი: ფუნქციათა თეორია, მათემატიკური ფიზიკა, დრეკადობის თეორია, მათემატიკური ფიზიკა და ფუნქციათა თეორია (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის). **გამოთვლითი ცენტრი** გამოთვლითი მათემატიკა და გამოთვლითი ტექნიკა — ორი ადგილი. **ფიზიკის ინსტიტუტი:** თეორიული ფიზიკა (რადიაციული მასალათმცოდნეობა), მყარი სხეულების ფიზიკა (რადიაციული მასალათმცოდნეობა და რენტგენოსტრუქტურული ანალიზი) — ორი ადგილი. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** ნეიროკიბერნეტიკა (ასპირანტი მომზადდება მოსკოვში), ფიზიკური კიბერნეტიკა (ასპირანტი მომზადდება ხარკოვში), ბიოკიბერნეტიკა (ასპირანტი მომზადდება ლენინგრადში). **აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:** ასტროფიზიკა (ცოცმილების ფიზიკა), **პ. მელიქიშვილის სახ. ქიმიის ინსტიტუტი:** ფოტოქიმია, ანალიზური ქიმია. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** ატმოსფეროს ფიზიკა, **გეოლოგიური ინსტიტუტი.** რეგიონული გეოლოგია, იზოტოპების გეოლოგია, ლითოლოგია. **ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი:** კლიმატოლოგია, ნიადაგების გეოგრაფია. **ბოტანიკის ინსტიტუტი:** მცენარეთა სისტემატიკა, გეობოტანიკა, მცენარეთა ბიოქიმია. **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:** ზოგადი ფიზიოლოგია, ბიოფიზიკა. **ზოოლოგიის ინსტიტუტი:** ენტომოლოგია. **პალეობიოლოგიის ინსტიტუტი:** პალეონტოლოგია. **სატყეო ინსტიტუტი** მერქანმცოდნეობა. **ცენტრალური (თბილისის) ბოტანიკური ბაღი:** დეკორაციული მებაღეობა. **ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი:** ანატომია. **ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და ჰემატოლოგიის ინსტიტუტი:** სამედიცინო რადიოლოგია, პათოფიზიოლოგია. **კლინიკური და ექსპერიმენტული ნევროლოგიის ინსტიტუტი:** ნერვული სისტემის პათოლოგიური მორფოლოგია, ნეიროფიზიოლოგიური კიბერნეტიკა — ორი ადგილი (ასპირანტები მომზადდებიან მოსკოვსა და ლენინგრადში). **უროლოგიის ინსტიტუტი:** კლინიკური უროლოგია. **ფარმაკო-ქიმიის ინსტიტუტი:** ფარმაცევტული ქიმია. **მეტალურგიის ინსტიტუტი:** ნახევარგამტარი მასალები და მათი კვლევის მეთოდები, თუჯის მეტალურგია, იშვიათი ლითონების მეტალურგია. **სამშენებლო საქმის ინსტიტუტი:** ბეტონის ფიზიკურ-ქიმიური მექანიკა, რკინაბეტონი. **ა. დიდებულიძის სახ. ენერგეტიკის ინსტიტუტი:** წყლის ენერგიის გამოყენება, თბოტექნიკა (ასპირანტი მომზადდება მოსკოვში), ელექტროენერგეტიკა (ასპირანტი მომზადდება მოსკოვში). **გ. წულუკიძის სახ. სამთო საქმის ინსტიტუტი:** მაღაროს ტრანსპორტი. **გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი:** ფიზიკური ქიმია, ელექტროქიმიური წარმოებათა ტექნოლოგია. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ტელემექანიკა, ელექტრონული მოწყობილობა (ორიენ სპეციალობაში ასპირანტები მომზადდებიან მოსკოვში). **მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი:** პოლიმერული მასალების გამოყენება მანქანათმშენებლობაში. **ენათმეცნიერების ინსტიტუტი:** ქართველური ენები, მთის იბერიულ-კავკასიური ენები (ჩაჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის), აფხაზური ენა (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის). **შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:** ლიტერატურის თეორია. **ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი:** საქართველოს საბჭოთა ხანის ისტორია, არქეოლოგია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის), არქეოლოგია (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის). **ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი:** ქართული ხელოვნების ისტორია. **ფილოსოფიის ინსტიტუტი.** ისტორიული მატერიალიზმი. **დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტი:** შრომის ფსიქოლოგია. **ეკონომიკის ინსტიტუტი:** მრეწველობის ეკონომიკა, ვაჭრობის ეკონომიკა, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. **ხელნაწერთა ინსტიტუტი:** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. **აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი:** თურქული ფილოლოგია, ოსური ენა (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის) **საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. მუზეუმი:** რელიგიისა და ათეიზმის ისტორია.



II. დაუსწრებელი ასპირანტურა

გეოლოგიური ინსტიტუტი: პეტროგრაფია, მეოთხეულის გეოლოგია, მინერალოგია, რეგიონული გეოლოგია. **აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:** ვარსკვლავთა ასტრონომია. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** რადიომეტრია. **სამშენებლო საქმის ინსტიტუტი:** სეისმომდგრადი კონსტრუქციები. **გ. წულუკიძის სახ. სამთო საქმის ინსტიტუტი:** სამთო ელექტროტექნიკა. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ავტომატური მართვა. **მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტი:** პოლიმერული მასალების გამოყენება მანქანათმშენებლობაში. **შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:** ახალი ქართული ლიტერატურა (XIX საუკ.). **ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი:** საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორია, საქართველოს არქეოლოგია. **ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი:** ქართული ხელოვნების ისტორია. **სატყეო ინსტიტუტი:** სატყეო სელექცია. **ეკონომიკის ინსტიტუტი:** ტრანსპორტის ეკონომიკა, ფინანსები და კრედიტი.

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე, **მისაღები გამოცდები** ჩატარდება 5 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

იმ სპეციალობების მიხედვით, რომელშიც ასპირანტი მომზადდება საქართველოს სსრ გარეთ, საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას ა. წ. 1 აგვისტომდე. სამ ცალად: ორი ქართულად და ერთი რუსულად.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში (თბილისი, ძერჟინსკის ქ. № 8, ტელეფონი 1-61-63).

თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1962/1963 სასწავლო წლისათვის I და III კურსებზე.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა.

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს სანიტარული ფერშლის სპეციალობით.

I კურსზე მიიღებიან

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), მათემატიკაში (ზეპირი).

III კურსზე მიიღებიან

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში (წერა), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი). **I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა** 3 წელი და 10 თვე.

III კურსზე 2 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა№ 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 5.პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედროვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის), 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ და კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი ნორმების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.

შენიშვნა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებელში ჩარიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთებთან დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ ხელმოწერილი.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა საღამოს 6 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 2, ტელ. 3-86-42.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

მექანიკერემენტული და კლინიკური თერაპიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. მორფოლოგიური განყოფილების გამგე — 1. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი.

2. ექსპერიმენტული განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი — 1. კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განცხადება სათანადო საბუთებთან ერთად მიიღება ინსტიტუტის დირექციაში.

მისამართი: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 2, ტელეფონი 5-42-66.

კონკურსის ვადაა ორი კვირა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.



საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

პირველი სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1962-63 სასწავლო წლისათვის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე.

დასწრებულ განყოფილებაზე

ფერშლის სპეციალობით:

I კურსზე (რუსული სექტორი) სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. მოსწავლეები რომლებსაც დამთავრებული აქვთ 8 და 9 კლასი, მიიღებიან საერთო წესით, როგორც არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი. აღნიშნული მოსწავლეები **აბარებენ მისაღებ გამოცდებს** არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. რუსულ ენაში (წერა-კარნახი). 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 10 თვე.

III კურსზე (ქართული სექტორი) სასწავლებელში მიიღებიან სრული საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, რომლებიც **აბარებენ მისაღებ გამოცდებს** საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება), 2. ქართულ ლიტერატურაში (ზეპირი). 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე

(ქართული სექტორი) **სამედიცინო დის სპეციალობით მიიღებიან:**

I კურსზე არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, ხოლო II კურსზე საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი. დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელნი უნდა მუშაობდნენ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში: მედიცინის დის, ფერშლის ან მეანის თანამდებობაზე.

I კურსზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.

I კურსზე შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება). 2. ქართულ ლიტერატურაში (ზეპირი) 3. სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა, ხოლო **დაუსწრებელ განყოფილებაზე** — ასაკის განუსაზღვრელად.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შემოაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ. უქუდოდ), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286) — გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი წლის სტაჟი), შემოწმებული წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნეობათა წევრები წარადგენენ კოლმეურნეობათა გამგეობის მიერ დამოწმებულ ამონაწერს კოლმეურნეობის წიგნაკიდან იმის ჩვენებით, რომ კოლმეურნეობაში მუშაობის ორი წლის განმავლობაში თვითეულ წელს მათ მიერ გამომუშავებულია ამ კოლმეურნეობისათვის დაწესებული შრომადღეების მინიმუმი, 6. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი დამატებით წარმოადგენენ დაბადების მოწმობას (პირი, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ), 7. სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი პასპორტს და სამხედრო ბილეთს (სამხედროვალდებულნი) იდგენენ პირადად, 8. დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელთათვის სავალდებულოა დამატებით წარმოდგენილ იქნას ცნობა და შრომის წიგნაკის ამონაწერი მუშაობის შესახებ — თანამდებობის ჩვენებით, შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ. დასწრებულ განყოფილებაზე მისაღები გამოცდების შედეგად სტაჟით ჩარიცხულებმა 1 სექტემბრისათვის უნდა წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან.

შენიშვნა: მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარებისას უპირატესობა ენიჭებათ: ა) დიდი სამამულო ომის მონაწილეებს, ბ) საბჭოთა არმიიდან დემობილიზებულ რიგითი, სერჟანტთა და ოფიცერთა შემადგენლობას.

განცხადებების მიღება წარმოებს ა. წ. 31 ივლისამდე, ყოველდღე, გარდა კვირადღისა, სასწავლებლის კანცელარიაში დღის 11 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი თბილისი, 1 მაისის რაიონი, კამოს ქ. № 109, ტელ. 5-07-64.

მისაღები გამოცდები დაიწყება დასწრებულ განყოფილებაზე ა. წ. 1 აგვისტოდან, **დაუსწრებელზე** 10 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

ტელევიზია

6 ივლისი

18.00 — გადაცემა „მსოფლიოს ახალგაზრდობის ფორუმი“, 18.20 — კინონარკვევი, 18.40 — გადაცემა ციკლიდან „მარტის პლენუმის გადაწყვეტილებები მოქმედებაში“ — „გვიქნია ბარაქიანი შემოდგომა“, 19.00 — კინონარკვევი, 19.20 — გადაცემა ციკლიდან — „ახალი წიგნები“, 20.00 — კინონარკვევი, 20.10 — გადაცემა ბიზეს ოპერა „კარმენი“, 20.45 — ახალი ამბები, 21.00 — მხატვრული ფილმი „ოთხთა გული“ (საბჭოთა კინოს ისტორიიდან)

კინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზაფხულო), **კომკავშირელი, პლეხანოვის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **ისანი** (საზამთრო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო), **სპარტაკი, თბილისი** — ოთხი დინებას მიჰყვებიან, **ოქტომბერი, საქართველო** (წითელი დარბაზი), **ნაკადული** — მხიარული ისტორიები, **ისანი** (საზაფხულო) — მდუმარე კვალი, **კოლხიდა** (საზამთრო), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კომუნარების ბაღი, კოლმეურნე, გაზაფხული** — მორჭვენებები შესანარტის კომკში, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ღამის მგზავრი. წყალქვეშა ნავი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — დედის ფიცი,

რადიო

7 ივლისი

პირველი პროგრამით

08.30 — კონცერტი საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან, 09.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — სიმღერები კინოფილმებიდან, 11.00 — ნარკვევი: „მეგობრობის გაზსადენი“, 11.15 — გადაცემა ციკლიდან — „საფორტეპიანო სონატის ისტორია“, 12.15 — დიმიტრი არაყიშვილის რომანსები, 12.45 — საქართველოს სახელმწიფო კაპელის კონცერტი, 13.40 — მოლდავური მუსიკის კონცერტი, 17.20 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 18.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — სიმღერები მიზიანოს შესრულებით, 19.15 — საოპერო მუსიკის კონცერტი. მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ხელოვნების ოსტატები, 19.45 — მოთხრობა, რომელიც თქვენ დაამთავრეთ, 20.20 — საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საესტრადო ორკესტრ „რეროს“ კონცერტი, 21.05 — მილიკერის ოპერეტა „გასპარონეს“ მონტაჟი, 22.30 — ლიტერატურული გადაცემა, მიძღვნილი ი. კუპალას დაბადების 80 წლისთავისადმი.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის ჰბილის სატექნიკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1962-63 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და II კურსებზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს ბილის ტექნიკოსის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე მიიღებიან

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

II კურსზე მიიღებიან

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები და აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი).

I კურსზე სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია, ხოლო II კურსზე — 2 წელი.

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შეაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი) ან IX, X კლასში გადაყვანის მოწმობა, 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ ზომით 3×4 სმ.), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების ნორმების მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.

დემობილიზებულნი სამხედრო ბილეთთან ერთად წარმოადგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან დემობილიზაციის შესახებ. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკის დედანი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხულ იქნებიან სასწავლებლიდან.

შენიშვნა: სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების შემდგომი შემცირების შესახებ მიღებული კანონის საფუძველზე დემობილიზებული ოფიცრები სასწავლებლებში ჩარიცხებიან უგამოცდოდ, რისთვისაც საჭიროა სხვა საბუთებთან დამატებით წარმოადგინონ მოწმობა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტრის მიერ დაწესებული ფორმის მიხედვით, სამხედრო ნაწილის უფროსის მიერ ხელმოწერილი.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთები მიიღება ა. წ. 31 ივლისამდე საღამოს 6 საათიდან 9 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა საღამოს 6 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, მელიქიშვილის ქ. № 2, ტელ. 3-86-42.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1962-63 სასწავლო წლისათვის

ასპირანტურაში მიღება წარმოებისაგან მოწყვეტით იწარმოებს შემდეგ სპეციალობებზე:

გამოთვლითი მათემატიკა, დიფერენციალური განტოლებები, ფუნქციათა თეორია, მექანიკა (დრეკადობის თეორია), მყარი სხეულის ფიზიკა (თეორიული და ექსპერიმენტული), კიბერნეტიკა, დაბალი ტემპერატურის ფიზიკა და ტექნიკა, გეოფიზიკა, რადიოფიზიკა და ელექტრონიკა, ატომბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა (თეორიული და ექსპერიმენტული), ორგანული ქიმია, ფიზიკური ქიმია, ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, მცენარეთა ფიზიოლოგია, ჰისტოლოგია, გენეტიკა, სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია, გეოლოგია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორია, საქართველოს ისტორია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, ძველი ქართული ენა, ახალი ქართული ენა, რუსული ლიტერატურა, კავკასიური ენათმეცნიერება, ფსიქოლოგია, სტრუქტურული ლინგვისტიკა, სსრ კავშირის ხალხთა ლიტერატურა (სომხური ფილოლოგია), ინდოლოგია, პოლიტიკური ეკონომია, ბარალოგია, ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის დაგეგმვა, ვაჭრობის ეკონომიკა, სახელმწიფო აღრიცხვა, არქეოლოგია, ესთეტიკა, მეცნიერული ათეიზმი, საბჭოთა სისტემა სამართალი, საბჭოთა სამოქალაქო სამართალი, საბჭოთა სისტემა სამართლის პროცესი.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, ხოლო **წარმოებისაგან მოწყვეტლივ** არაუმეტეს 45 წლის ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ არჩეული სამეცნიერო სპეციალობის პროფილით სამეცნიერო, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

ის პირნი, რომელთაც უნივერსიტეტი 1961 ან 1962 წელს დაამთავრეს თეორიული სპეციალობების განხრით (მათემატიკა, ფიზიკა, მექანიკა, ასტრონომია, ქიმიისა და ბიოლოგიის თეორიული განყოფილებები) და გამოამჟღავნეს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი, გამონაკლისის სახით ასპირანტურაში მისაღებ საკონკურსო გამოცდებზე დაიშვებიან უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით ორ ცალად: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით, 2) ნოტარიულად შემოწმებული დიპლომის პირი, 3) საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან, 4) ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეკომენდაციის შესახებ სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან იმ პირთათვის, რომელთაც უნივერსიტეტი დაამთავრეს 1961 ან 1962 წელს, 5) გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, ცნობები გამოგონებათა, საცდელ-საკონსტრუქტორო ნამუშევართა შესახებ და დასკვნები მათზე. ის პირნი, რომელთაც გამოქვეყნებული შრომები არ აქვთ, წარმოადგენენ სამეცნიერო რეფერატს ერთ ცალად სპეციალურ საგანში.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 1 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს 5-დან 20 სექტემბრამდე.

ასპირანტურაში შემსვლელნი გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში, რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1, უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.



УЭ 01059

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.